

სტრატეგიული განვითარების
გეგმა 2019 - 2025

დამტკიცებულია:
აკადემიური საბჭოს დადგენილება
ოქმი N4.27.03.2019

აკადემიური საბჭოს დადგენილება (ოქმი N4. 07.09.2020.წ)
ცვლილებები: მმართველი საბჭოს დადგენილება
(ოქმი N3. 07.09.2022)

შინაარსი

| | |
|---|----|
| შესავალი | 2 |
| 1. სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია | 5 |
| 2. ისტორია და დღევანდლობა | 10 |
| 3. ორგანიზაციული სტრუქტურა | 25 |
| 4. ხედვა, მისია, ღირებულებები | 26 |
| 5. SWOT ანალიზი | 28 |
| 6. სტრატეგიული გეგმის სტრუქტურა | 35 |
| 7. სტრატეგიული მიზნები, ამოცანები და ინდიკატორები | 36 |
| 8. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგი | 56 |
| 9. გეგმის განხორციელების ფინანსური უზრუნველყოფა | 59 |
| გამოყენებული წყაროები | 60 |

შესავალი

2019-2025 წლის სტრატეგიული გეგმა ასახავს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის (შემდეგში „გთუნი“) განვითარების პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს, ეფუძნება ჩვენ ხედვებსა და პასუხისმგებლობებს ქვეყნის, საზოგადოების, სტუდენტის, პერსონალის მიმართ და ნათელს ჰფენს ყოველდღიური სამუშაოს, იდეებისა და ღირებულებების შესაბამისობას მომავლის პერსპექტივასთან.

სტრატეგიული განვითარების გეგმა, რომლითაც განსაზღვრულია გთუნის მომავალი შვიდი წლის (2019-2025) ინსტიტუციური განვითარების პრიორიტეტები, სტრატეგიული მიზნები და სტრატეგიული ამოცანები, გვაჩვენებს მკაფიო მიმართულებას და გადაწყვეტილებათა ლოგიკას მისიის განსახორციელებლად.

გთუნის სტრატეგიული განვითარების გეგმა ეყრდნობა, უპირველეს ყოვლისა, უნივერსიტეტების დიდი ქარტიით (Magna Charta Universitatum) განსაზღვრულ ფუნდამენტურ პრინციპებს და ბოლონის პროცესის ძირითად დოკუმენტებს, აგრეთვე, საქართველოს კანონებს, კანონქვემდებარე აქტებსა და მნიშვნელოვან სტრატეგიებს, კერძოდ:

- განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია, 2017-2021;
- 2022-2030 წლების განათლებისა და მეცნიერების ერთიანი ეროვნული სტრატეგია;
- სამთავრობოპროგრამა 2021-2024 “ევროპული სახელმწიფოს მშენებლობისათვის”
- საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ, 2004;
- საქართველოს კანონი მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და მათი განვითარების შესახებ.1997
- საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმება (XXXII დანართით გათვალისწინებული რეკომენდაციები და გადაწყვეტილებები უმაღლეს განათლებაში 2015-2022), 27.06.2014;
- საქართველოს კანონი განათლების ხარისხის განვითარების შესახებ, 2010;
- საქართველოს სოციალური და ეკონომიკური განვითარების სტრატეგია „საქართველო 2020“, 2014;
- „ქვეყნის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2022-2025 წლებისათვის სამთავრობო პროგრამა 2021 – 2024 „ევროპული სახელმწიფოს მშენებლობისთვის“
- საქართველოს კანონი მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შესახებ, 2007;
- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის სტრატეგიის დოკუმენტი, 2016- 2020;
- სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის სტრატეგიის დოკუმენტი 2021-2025 წლები

- საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანება "განახლებული ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო და სწავლის სფეროების კლასიფიკატორი".
- საქართველოს კანონი გრანტების შესახებ, 1996;
- სტუდენტთა სახელმწიფო სასწავლო გრანტებით დაფინანსების სისტემა - "პრიორიტეტული საგანმანათლებლო პროგრამული მიმართულებების დაფინანსება" 2011;

გეგმის შემუშავების პროცესში გათვალისწინებულ იქნა სტრატეგიულ დაგეგმვასთან დაკავშირებული ადგილობრივი თუ უცხოური მეთოდოლოგიური წყაროები; გაანალიზდა როგორც გთუნის პარტნიორი ევროპისა და აშშ-ს უნივერსიტეტების, ისე საქართველოს უნივერსიტეტების სტრატეგიის დოკუმენტები.

2010-2016 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმის განხორციელებით მიღწეული შედეგების შეფასების, ჩატარებული კვლევების და ფაქტობრივი მონაცემების საფუძველზე, გთუნიმ შეიმუშავა 2017-2023 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა, რომელიც დამტკიცდა აკადემიური საბჭოს მიერ (სხდომის ოქმი N 10. 09.12.1016)

2017-2023 გეგმის განხორციელების პროცესში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დამტკიცდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ახალი სტანდარტები, რამაც განახლებული მოთხოვნები დააყენა უსდ-ების წინაშე.

აღნიშნული სტანდარტების ძალაში შესვლამ და მათთან დაკავშირებულმა ახალმა რეგულაციებმა, დებულებებმა, სახელმძღვანელოებმა, განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრის მიერ ჩატარებულმა სემინარებმა, ტრენინგებმა და რეკომენდაციებმა, აგრეთვე გთუნის 2018 წლის პროგრამული აკრედიტაციის შედეგებმა, ცხადყო და დღის წესრიგში დააყენა უკვე შემუშავებული სტრატეგიული გეგმის არსებითი განახლების აუცილებლობა, რათა ის მეტად შეესაბამებოდეს ზემოაღნიშნულ საერთაშორისო სტანდარტებს და რაც მთავარია, წარმოადგენდეს ინსტიტუციური განვითარებისა და ხარისხის ზრდის რეალურ საფუძველს!

აღნიშნულთან ერთად, სტრატეგიული განვითარების გეგმის განახლების აუცილებლობა განაპირობა 2017 და 2021 წლების სამოქმედო გეგმების განხორციელების მონიტორინგმა და უნივერსიტეტში ახალი პარტნიორის შემოსვლამ, რის შედეგადაც გადაწყდა, რომ:

- რეფორმულირებას საჭიროებდა ხედვა და მისია, რომლებიც უფრო მკაფიოდ და ნათლად უნდა გამოხატავდნენ გთუნის სახეს, როლს და ადგილს უმაღლესი განათლების სივრცესა და საზოგადოებაში, როგორც ქვეყნის, ასევე საერთაშორისო მასშტაბით;
- დახვეწას, რეფორმულირებას და ოპტიმიზებას საჭიროებს სტრატეგიული რათა უზრუნველყოფილი იყოს მათი მიღწევა და მიღწეული შედეგების გაზომვა;


- მეტ კონკრეტიზაციას მოითხოვს სტრატეგიული ამოცანები და მათი შესრულების ინდიკატორები, რათა უკეთ გაზომვადი გახდეს მათი შესრულება;
- ბიუჯეტი მეტად ორიენტირებული უნდა იყოს სტრატეგიულ მიზნებზე, განსაკუთრებით კი ინტერნაციონალიზაციის საერთაშორისო ურთიერთობებისა და კვლევების მიმართულებით რათა ნათლად გამოიკვეთოს, რომ ის წარმოადგენს აღნიშნული მიზნების განხორციელების რეალურ ინსტრუმენტს;
- ახალ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით გადახედვას საჭიროებს გთუნის სამართლებრივი ბაზა და მისი შინაარსი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, 2017 წლის და 2021 წლის სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების ჯგუფის რეკომენდაციების საფუძველზე და უნივერსიტეტის რექტორის ინიცირებით, დაისვა სტრატეგიული განვითარების გეგმის მოდიფიცირების საკითხი 2019-2025 წწ. პერიოდისთვის და განვითარების სამწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავების საკითხი 2019-2021 წწ. პერიოდისთვის.

2019-2025 სტრატეგიული განვითარების გეგმის და 2019-2022 სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესი განხორციელდა გთუნში მოქმედი სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიით განსაზღვრული წესისა და პროცედურების შესაბამისად.

1. სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია

სტრატეგიული დაგეგმვა დაინტერესებულ მხარეთა ფართო ჩართულობით განხორციელებული თანამშრომლობითი პროცესია, რომელიც განხორციელდა ქვემოთ მოცემული კლასიკური მოდელის შესაბამისად:



დაგეგმვის პროცესის ეტაპები

გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტში შემუშავებულია სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, რომლის მიხედვით განსაზღვრული წესისა და პროცედურების თანახმად, გადაიდგა შემდეგი კონკრეტული ნაბიჯები, კერძოდ:

1. სტრატეგიული დაგეგმვის ინიცირება;
2. სტრატეგიული გეგმის მომზადება და განხილვა;
3. სტრატეგიული გეგმის დამტკიცება;
4. სამოქმედო გეგმის შედგენა;
5. სტრატეგიული გეგმის შესრულების მიმდინარეობის მონიტორინგი, ანგარიშების წარდგენა და გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად ცვლილებების მომზადება.

1. სტრატეგიული დაგეგმვის ინიცირება:

სტრატეგიული გეგმის შემუშავების ინიცირება მოხდა რექტორის მიერ, რომლის ხელმძღვანელობით შეიქმნა სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფი (დროებითი სამუშაო ერთეული), რომლის დაგეგმვის

ჯგუფი არის სტრატეგიული დაგეგმვის პროცესზე, რომლის პასუხისმგებლობაა სტრატეგიული გეგმის პროექტის შემუშავება და პროცესში უნივერსიტეტის ფართო საზოგადოების ჩართვა.

დაგეგმვის ჯგუფი: ჯგუფის საქმიანობას კოორდინაციას უწევდა რექტორის მიერ განსაზღვრული პირი, რომელიც უზრუნველყოფდა კომუნიკაციას უნივერსიტეტის სხვადასხვა ერთეულებთან, წვდომას ყველა საჭირო ინფორმაციაზე, ჯგუფის საქმიანობის ადმინისტრირებას და სხვა მხარდაჭერას. დაგეგმვის ჯგუფის შემადგენლობაში შედიოდნენ: ფაკულტეტების წარმომადგენლები, უნივერსიტეტის ადმინისტრაციული და სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლები, ფაკულტეტების საბჭოებში ჩართული სტუდენტები, სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლები და დამსაქმებლები. დაგეგმვის პროცესს კონსულტაციას უწევდა გთუნის საპატიო დოქტორი ჩ. ბუსტრა.

სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის გეგმის შემუშავება: დაგეგმვის ჯგუფმა შეიმუშავა დაგეგმვის პროცესის დროში გაწერილი გეგმა, რომლის ხანგრძლივობადაც, განისაზღვრა სამი თვე და რომელიც მოიცავდა სტრატეგიული გეგმის შექმნის მიზნით გასატარებელ საკვანძო ღონისძიებებსა და პასუხისმგებელ პირებს. სტრატეგიული გეგმის შექმნის პროცესი მოიცავდა შემდეგ სამუშაოებს: ინსტიტუციური ჩარჩო პირობების ჩამოყალიბება და დაინტერესებულ პირთა მოლოდინების განსაზღვრა; ორგანიზაციული შესაძლებლობებისა და გარემოს ანალიზი; უნივერსიტეტის სამომავლო ხედვის ფორმირება; უნივერსიტეტის მისიის განაცხადის ფორმირება; სტრატეგიული მიზნების ჩამოყალიბება; სტრატეგიული მიზნების მიღწევის მექანიზმების განსაზღვრა; ფინანსური გეგმის შედგენა; მონიტორინგის გეგმის ჩამოყალიბება; სამწლიანი სამოქმედო გეგმის შედგენა.

გეგმა ასევე ასახავდა უნივერსიტეტის საზოგადოებისა და სხვა დაინტერესებული პირების მონაწილეობის/ჩართულობის ფორმებსა და გასატარებელ ღონისძიებებს.

2. სტრატეგიული გეგმის მომზადება და განხილვა: სტრატეგიული გეგმის მომზადების პროცესი მოიცავდა შემდეგს:

ინსტიტუციური ჩარჩო პირობების ჩამოყალიბება და დაინტერესებულ პირთა მოლოდინების განსაზღვრა: ამ ეტაპზე განხორციელდა: დაინტერესებულ პირთა (სამიზნე ჯგუფები, ფოკუს ჯგუფები) გამოკითხვები, რომლის ანალიზის შედეგად დაზუსტდა მათი მოლოდინები უნივერსიტეტის მიმართ; დამხმარე სტრუქტურული ერთეულების მიერ მომზადებული ანგარიშების, სტატისტიკური ინფორმაციის ანალიზის და გამოკითხვის შედეგების საფუძველზე მოხდა მთავარი გამოწვევების განსაზღვრა.

ორგანიზაციული შესაძლებლობებისა და გარემოს ანალიზი: ამ ეტაპზე მოკრებილი ინფორმაციისა და ხელთ არსებული სხვა მონაცემების გათვალისწინებით, დაგეგმვის ჯგუფმა განხილვების შედეგად ჩამოაყალიბა გთუნის ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობებისა და საფრთხეების შესახებ

განაცხადი (SWOT), რაც გასაჯაროვდა და ერთი კვირის მანძილზე საუნივერსიტეტო საზოგადოებას ჰქონდა საშუალება გამოეთქვა მოსაზრებები და გაეზიარებინათ საკუთარი უკუკავშირი.

უნივერსიტეტის სამომავლო ხედვის ფორმირება და მისიის განაცხადის რევიზია: დაგეგმვის ჯგუფმა იმსჯელა გთუნის გრძელვადიანი ხედვის შესახებ. შეიმუშავა ხედვის და მისიის პირველადი ვარიანტი, რომელიც გასაჯაროვდა კომენტარებისა და მოსაზრებების გაზიარების მიზნით ერთი კვირის ვადით. ვადის გასვლის შემდეგ ჯგუფი კვლავ შეიკრიბა და შეიმუშავა დოკუმენტების შემდეგი ვერსიები.

სტრატეგიული მიზნების ჩამოყალიბება: ხედვისა და მისიის შემუშავების შემდეგ დაგეგმვის ჯგუფმა იმსჯელა სტრატეგიული მიზნების შესახებ და შეიმუშავა მიზნების ჩარჩოს პირველადი ვარიანტი, რაც გასაჯაროვდა კომენტარებისა და მოსაზრებების გაზიარების მიზნით ერთი კვირის ვადით. ვადის გასვლის შემდეგ ჯგუფი კვლავ შეიკრიბა და შეიმუშავა დოკუმენტის შემდეგი ვერსია.

სტრატეგიული მიზნების მიღწევის მექანიზმების განსაზღვრა: სტრატეგიული მიზნების ჩარჩოს ჩამოყალიბების შემდეგ დაგეგმვის ჯგუფმა იმსჯელა სტრატეგიული მიზნების მიღწევის მექანიზმებზე და შეიმუშავა სტრატეგიული გეგმის ერთიანი დოკუმენტის პირველი ვერსია. დოკუმენტი გასაჯაროვდა კომენტარებისა და მოსაზრებების გაზიარების მიზნით ერთი კვირის ვადით. ვადის გასვლის შემდეგ ჯგუფი კვლავ შეიკრიბა და შეიმუშავა შემდეგი ვერსია.

ფინანსური გეგმის შემუშავება: სტრატეგიული გეგმის სამუშაო ვერსია გადაეცა გთუნის ფინანსურ დირექტორს, საფინანსო სამსახურს ექსპერტიზისა და ფინანსური გაანგარიშებისთვის. მათ მიერ შემუშავებული ფინანსური გეგმა განხილულ იქნა დაგეგმვის ჯგუფის შეხვედრაზე და მოხდა დოკუმენტის არსებული ვერსიის კორექტირება.

მონიტორინგის გეგმის ჩამოყალიბება: მომზადებული სტრატეგიული გეგმის საფუძველზე, ჯგუფმა შეიმუშავა მიზნებისა და ამოცანების გაზომვის ინდიკატორები და შეთანხმდა სამიზნეებზე (სადაც შესაძლებელია). განხილვის შემდეგ ჯგუფის კოორდინაციაზე პასუხისმგებელი პირის მიერ მომზადდა მონიტორინგის გეგმის დოკუმენტის სამუშაო ვერსია (პროექტი), რომელიც მოიცავდა ინდიკატორებს, სამიზნეებს, საწყის მონაცემებს, გადამოწმების წყაროებსა და მონაცემთა მოკრების/ანალიზის მეთოდებს, პასუხისმგებელ პირებს, მონაცემთა მოკრება/ანალიზის პერიოდულობას.

სტრატეგიული გეგმის განხილვა: დაგეგმვის ჯგუფმა ჩაატარა ღია პრეზენტაცია, რომლის შესახებ ინფორმაცია ერთი კვირით ადრე საჯაროდ გავრცელდა. პრეზენტაციას დაესწრო საუნივერსიტეტო საზოგადოების დაინტერესებული პირები და მოწვეული გარე აქტორები.

3. სტრატეგიული გეგმის დამტკიცება:

დაგეგმვის ჯგუფის მიერ შეჯერებული და საბოლოოდ მოწონებული სტრატეგიული გეგმის პროექტი რექტორის მიერ წარედგინა გთუნის აკადემიურ საბჭოს განსახილველად და დასამტკიცებლად. დამტკიცების შემდეგ გეგმა საჯაროდ გამოქვეყნდა უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

4. სამოქმედო გეგმის შედგენა:

სტრატეგიული გეგმის საფუძველზე, დაგეგმვის ჯგუფმა შეიმუშავა სამწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც მოიცავს სტრატეგიულ ამოცანებს, მათი განხორციელების მექანიზმებს, შესრულების ინდიკატორებს, ვადებს, პასუხისმგებელ სტრუქტურებს და განხორციელებაში ჩართულ მხარეებს. სამოქმედო გეგმა და შესაბამისი ბიუჯეტი განიხილა და დაამტკიცა მმართველმა საბჭომ.

5. სტრატეგიული გეგმის შესრულების მიმდინარეობის მონიტორინგი, ანგარიშების წარდგენა და გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად, ცვლილებების მომზადება:

სტრატეგიული გეგმით გათვალისწინებული მიზნების შესრულების მონიტორინგი ხდება ყოველწლიურად თვითშეფასების ანგარიშის მომზადების პროცესში. სტრატეგიის განხორციელების შეფასების ანგარიში თან ერთვის თვითშეფასების ანგარიშს. მას ამზადებს მონიტორინგის ჯგუფი (დროებითი სამუშაო ერთეული), განიხილავს და ამტკიცებს აკადემიური საბჭო. განხილვების შემდეგ გამოთქმული მოსაზრებების, დასკვნების გათვალისწინება ხდება შემდგომი წლის სამოქმედო გეგმაში. აღნიშნული განხილვის შედეგად, ასევე შესაძლებელია სტრატეგიის დოკუმენტსა და მონიტორინგის გეგმაში შეტანილ იქნეს ცვლილებები. შესაბამისი საკითხის ინიცირებას ახდენს რექტორი და უთანხმებს მმართველ საბჭოს.

სტრატეგიული გეგმის გეგმიური გადახედვა ხორციელდება სულ მცირე ყოველ 3 წელიწადში ერთხელ. არაგეგმიური გადახედვა/შეფასება შესაძლებელია ინიცირებულ იქნეს რექტორის მიერ, სხვა დროს, შესაბამისი გარემოებების/დასაბუთების შემთხვევაში. მიმოხილვის პროცესი ხორციელდება სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის მსგავსად, სპეციალურად ფორმირებული მიმოხილვის ჯგუფის მიერ, რომელსაც ხელმძღვანელობს რექტორი და კოორდინაციას უწევს რექტორის მიერ განსაზღვრული პირი. ჯგუფი უფლებამოსილია გამართოს საკონსულტაციო განხილვები სხვადასხვა შიდა თუ გარე დაინტერესებულ პირებთან და მოამზადოს მიმოხილვის/შეფასების ანგარიში. ფორმირებისთანავე ჯგუფი შეიმუშავებს საკონსულტაციო შეხვედრების/განხილვების გეგმას. გეგმა უნდა ასახავდეს რომელ ჯგუფებთან რა სახის საკონსულტაციო პროცესი გაიმართება და რა ვადებში. შეფასების ანგარიშს რექტორი წარუდგენს მმართველ საბჭოს და მასთან ერთად იღებს გადაწყვეტილებას გასატარებელი ცვლილებების შესახებ.

ამდენად, 2019-2025 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა წარმოადგენს თანმიმდევრული მუშაობის შედეგს, ეფუძნება დაგროვილი გამოცდილების გააზრებას და გაუმჯობესების მთელ რიგ ღონისძიებას, არის ფართო ბაზა განვითარებისა და უწყვეტი დიალოგისთვის.

2. ისტორია და დღევანდელი

შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო სასწავლო უნივერსიტეტი ერთ-ერთი ახალგაზრდა უმაღლესი სასწავლო დაწესებულებაა, რომელიც ატარებს (დაფუძნდა 29.05.2008, N20455524), მისი დამაარსებლის, პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის, პროფესორ გურამ თავართქილაძის სახელს.

დაარსებიდან დღემდე შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტმა ჩამოაყალიბა ღირებულებებისა და ტრადიციების სისტემა, რომელთაც იზიარებენ და პატივს სცემენ თანამშრომლები და სტუდენტები.

სასწავლო უნივერსიტეტმა თავისი საქმიანობა დაიწყო 6 პროგრამით და 390 სტუდენტით, ამოქმედებიდან მეოთხე 2013 წელს კი წარმატებით გაიარა ინსტიტუციური ავტორიზაცია და პროგრამული აკრედიტაცია, რაც შემდგომი განვითარების სტიმულად იქცა. დღეს გთუნი ახორციელებს 10 პროგრამას, შესაბამისად გაიზარდა სტუდენტების რაოდენობაც.

დაარსების მომენტისთვის საუნივერსიტეტო საქმიანობაში ჩართული იყო სულ ორმოცდასამი თანამშრომელი, რომელთა შორის აკადემიური პერსონალის რაოდენობა ოცდაცხრას შეადგენდა.

სტრატეგიული გეგმის დამტკიცების მომენტისთვის თანამშრომელთა რაოდენობა 139-ს შეადგენს, მათ შორის აკადემიური პერსონალის რაოდენობა 72-ია. გთუნითან აფილირებულია: 41 პროფესორი.

გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი მიისწრაფვის ემსახუროს საქართველოს ეროვნულ ინტერესებს, დააკმაყოფილოს ქვეყნის, საზოგადოებისა და სტუდენტის მოთხოვნა შრომის ბაზარზე ორიენტირებულ მაღალი ხარისხის განათლებაზე.


გთუნი თანამედროვე ფიზიკურ და პროფესიონალურ გარემოში შექმნილია სასწავლო და კვლევითი საქმიანობის წარმატებით განხორციელების ყველა პირობა: უზრუნველყოფილია კვალიფიციური კადრებით, ყველასთვის ხელმისაწვდომი თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, მდიდარი თანამედროვე ბიბლიოთეკით, მედიაპროექტორებით აღჭურვილი აუდიტორიებით, რადიო და ტელე ლაბორატორიებით, სასამართლო კლინიკით, იურიდიული კლინიკით, კრიმინალისტიკის ლაბორატორიით, სასწავლო ინკუბატორით (GT ბანკი; GT ტურისტული სააგენტო; GT კონსალტინგი); პროფესიული განვითარების ცენტრით; მცირე და დიდი სააქტო დარბაზებით, სპორტული მოედნით, რეკრეაციული სივრცეებით, სტუდენტთა გუნდური მუშაობისათვის გამოყოფილი სივრცეებით, კეთილმოწყობილი ეზოთი და სხვა.

უნივერსიტეტში მოქმედებს ორი ფაკულტეტი: (2017 წლის N:01-01/57 05 სექტემბრის ბრძანებით განხორციელებული ცვლილების თანახმად).

1. ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტი;
2. სამართლის ფაკულტეტი.

ფაკულტეტები უზრუნველყოფენ სტუდენტთათვის მეცნიერების თანამედროვე მიღწევებზე დაფუძნებული ცოდნის მიწოდებას თეორიისა და პრაქტიკის ჰარმონიული შერწყმით.

გთუნში, როგორც სასწავლო უნივერსიტეტში, ხორციელდება პირველი და მეორე საფეხურის 10 პროგრამა (9 აკრედიტებული და 1 ავტორიზებულ რეჟიმში) საგანმანათლებლო პროგრამა, კერძოდ:



აკრედიტაციის წარმოების პროცესი დაწყებულია 2 ახალ ინგლისურენოვან პროგრამაზე:

1. ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო (ინგლისურენოვანი) პროგრამა;
2. ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო (ინგლისურენოვანი) პროგრამა;

საერთაშორისო უთიერთობები

საქართველოსა და საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში სტაბილური ნიშის დამსახურებულად მოპოვების გარდა, გთუნის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა საერთაშორისო სტანდარტების დამკვიდრება, რისკენაც ამ დროის განმავლობაში მეთოდურად და ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწევდა წინ.

ახალგაზრდა უნივერსიტეტი გახდა ევროკომისიის მიერ დაფინანსებული პროექტების- Tempus, Erasmus+ ბენეფიციარი და Visegrad Foundation აპლიკანტი..

დაამყარა პარტნიორული ურთიერთობები პადერბორნის უნივერსიტეტთან (გერმანია); ინჰოლანდის უნივერსიტეტთან (ნიდერლანდები); ვარნას თავისუფალ უნივერსიტეტთან

(ბულგარეთი); ბრემენჰაფენის უნივერსიტეტთან (გერმანია); ზადენ-ვიურთენბერგის დუალური სწავლების უნივერსიტეტთან (გერმანია); კონსტანტას ოვიდიუსის სახელობის უნივერსიტეტთან (რუმინეთი); ბანსკა-ბისტრიცას მათეი ბელის უნივერსიტეტთან (სლოვაკეთი); ვენტსპილსის უნივერსიტეტთან (ლატვია); ბირმინგემის კოლეჯთან (დიდი ბრიტანეთი), ინგოლშტატის უნივერსიტეტი (გერმანია), პეჩის უნივერსიტეტი (უნგრეთი), ალსტერის უნივერსიტეტთან (ირლანდია), წმიდა გიორგის სახელობის უნივერსიტეტთან (აშშ), EURAC, ევროპული კვლევის აკადემიასთან (ბოლცანო, იტალია), ლუბლიანას უნივერსიტეტთან (სლოვენია), რიგის ტექნიკურ უნივერსიტეტთან (ლატვია).

ზემოთ აღნიშნულ საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობა და პარტნიორული ურთიერთობები საფუძვლად დაედო რიგ ცვლილებას გთუნიში, კერძოდ:

- ევროპულ ექსპერტებთან კონსულტაციების შედეგად და მათი საუკეთესო გამოცდილების გათვალისწინებით უმჯობესდებოდა საგანმანათლებლო პროგრამების შინაარსი, სწავლა-სწავლების და შეფასების მეთოდები; პროგრამები მდიდრებოდა თეორიული თუ პრაქტიკული სიახლეებით, მიდგომებით, კონცეფციებითა და ლიტერატურით.
- საგანმანათლებლო პროგრამებს დაემატა რიგი დისციპლინა, რაც ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში არ ისწავლებოდა, მ.შ. ერთობლივი კურსი ქართულ და ნაწილობრივ ინგლისურ ენაზე, რომელსაც უძღვება როგორც ქართველი, ისე უცხოელი ლექტორი;
- Tempus (2013-2017წწ.) პროექტის ფარგლებში, გერმანიის პადერბორნის უნივერსიტეტის ხელმძღვანელობით შემუშავდა კვალიფიკაციის ამაღლების კურსები ბიზნეს სექტორისთვის, ჩამოყალიბდა შავი ზღვის რეგიონის კომპეტენციათა ცენტრების ქსელი, რომლის ერთ-ერთი წევრი გახდა გთუნი;
- ევროკომისიის დაფინანსებით დაფუძნდა ტრენინგისა და კონსალტინგის უახლესი ტექნიკით აღჭურვილი ცენტრი “GT CTC”. ცენტრის მიერ გატარებული ღონიძირებებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ინგლისურ ენაზე მომზადებული 6 კურსი, რომელიც 2018 წელს წარმატებით გაიარეს ინგოლშტატის უნივერსიტეტის (გერმანია) ტურიზმის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებმა;
- უცხოელი ექსპერტების მიერ მრავალგზის ჩატარდა მასტერ-კლასები, ტრენინგები, ვორქშოპები როგორც სტუდენტთათვის, ისე აკადემიური პერსონალისთვის;
- ევროკომისიის დაფინანსებით მომზადდა და გამოიცა გთუნის პროფესორის მიერ მომზადებული სახელმძღვანელოები ქართულ ენაზე;

- ვიშეგრადის ფონდის ფარგლებში, პროექტის ხელმძღვანელის. გთუნის პროფესორის მიერ მომზადდა სალექციო კურსი "ევროინტეგრაცია ცენტრალურ ევროპაში -ვიშეგრადის ქვეყნების გამოცდილება"- ქართულ ენაზე;
- ევროკომისიის დაფინანსებით გთუნის ბიბლიოთეკას შეემატა უცხოურენოვანი ლიტერატურა;
- გთუნის აკადემიურმა პერსონალმა კვალიფიკაცია აიმაღლა და სტაჟირება გაიარა გერმანიის, რუმინეთის, ბულგარეთის, იტალიის, დიდი ბრიტანეთის, ნიდერლანდების და სხვა უნივერსიტეტებსა და კვლევით დაწესებულებებში;
- გთუნი ცდილობს განავითაროს და გააღრმავოს ისეთი საერთაშორისო თანამშრომლობა, რომელიც პირველ რიგში წარმატებას მოუტანს სტუდენტს. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია, რომ Erasmus+ გაცვლითი პროგრამით, საზღვარგარეთ სასწავლებლად იმყოფებოდა 18 სტუდენტი, რაც მცირე ზომის სასწავლებლისთვის, ვფიქრობთ, სერიოზული მიღწევაა. გთუნი აქტიურად აგრძელებს პროექტებზე მუშაობას, რისი დასტურია ის, რომ 2019 წლის დასაწყისში 5 პროექტი იქნა წარდგენილი გთუნის მონაწილეობით, მათ შორის 4 Erasmus K1 და 1 Erasmus K2, რაც წარმატების შემთხვევაში არსებითად გაზრდის ბენეფიციარ სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის რაოდენობას;
- ERASMUS+ ფარგლებში გთუნის 3 პროფესორი 2017, 2018, 2019 წლებში ლექციებს კითხულობდა ინჰოლანდის (ნიდერლანდები) უნივერსიტეტებში სამართლისა და ტურიზმის მიმართულებით, რაც 2019-2020 წლებშიც გაგრძელდება;
- ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ პროექტებში სხვადასხვა სტატუსით ჩართული იყო 20 პროფესორი;
- გთუნის 2017, 2018 წლებში მონაწილეობდა ინჰოლანდის უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო საგანმანათლებლო გამოფენაში.
 - 2019-2020 სასწავლო წელს ერთი სემესტრით „Erasmus+“-ის პროექტის ფარგლებში გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის სტუდენტი იმყოფებოდა ალსტერის უნივერსიტეტში (გაერთიანებული სამეფო). იმავე სასწავლო წელს ასევე ერთი სემესტრით გთუნის ორი სტუდენტი, ინჰოლანდის გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტში (ნიდერლანდების სამეფო) „Erasmus+“-ის პროექტის ფარგლებში იმყოფებოდნენ.
 - 2020 წელს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ტურიზმის სპეციალობის სტუდენტები, თინათინ ღვინეფაძე და გიორგი კოჭლაშვილი ასევე „Erasmus+“-ის პროექტის ფარგლებში 40 სხვა საერთაშორისო სტუდენტთან ერთად (ბრაზილია, საფრანგეთი, გერმანია, უნგრეთი, კორეა, რუსეთი, ესპანეთი, თურქეთი, აშშ, დიდი ბრიტანეთი და სხვ.) ასევე ინჰოლანდის გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტში (ნიდერლანდების სამეფო) ერთი სემესტრით სწავლობდნენ. „Erasmus+“-ის

პროექტის ფარგლებში პეჩის უნივერსიტეტში (უნგრეთი) 2022 წლის თებერვალში სასწავლებლად გაემგზავრა სამართლის ფაკულტეტის სტუდენტი.

- 2021 წელს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტებმა, მონაწილეობა მიიღეს საერთაშორისო ონლაინ კურსში, რომელსაც უძღვებოდნენ ბრიტანელი და ნიდერლანდელი ექსპერტები. კურსის დასრულების შემდეგ მონაწილეებს გადაეცათ ბრიტანული სერტიფიკატები.
- 2022 წლის მაისში კოვენტრის უნივერსიტეტის (გაერთიანებული სამეფო) ორგანიზებით, განხორციელდა პროექტი ერთობლივი ონლაინ საერთაშორისო სწავლება - Collaborative Online International Learning (COIL) - „ლიდერობა და ხალხის მოტივირება“. აღნიშნულ პროექტში გაერთიანებული სამეფოს, საქართველოს, შვეიცარიის, გერმანიის, საფრანგეთის, ბელგიის, პოლონეთის, დანიის, განასა და ვიეტნამის წარმომადგენლები იღებდნენ მონაწილეობას. პროექტს რამდენიმე უმაღლესი სასწავლებლის ლიდერი ჰყავდა, რომელთა შორის იყო, გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორიც.
- 2022 წლის ივნისში გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტში ჩატარდა სტუდენტთა საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, სახელწოდებით „სამართალი და თანამედროვე გამოწვევები“. კონფერენცია ჰიბრიდულ რეჟიმში მიმდინარეობდა და მასში ქართველ სტუდენტებთან ერთად მონაწილეობდნენ ბრაზილიის, შვედეთის, ლიეტუვისა და თურქეთის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები.
- 2020 წლიდან გთუნის დამფუძნებელი გახდა ჩინეთის საერთაშორისო განათლების ჯგუფი, რამაც შესაძლებლობა მისცა სტუდენტებს, სხვა უცხო ენების პარალელურად შეისწავლონ ჩინური, კორეული და იაპონური ენები. აზიური ენების ცოდნა გზას უხსნის სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს გაიარონ სტაჟირება და გააგრძელონ სწავლა მაგისტრატურის საფეხურზე.
- ჩინეთის საერთაშორისო განათლების ჯგუფი და სასწავლო უნივერსიტეტში მომზადებული ახალი უცხოენოვანი პროგრამები გაზრდის ინტერნაციონალიზაციასა და სტუდენტთა მობილობას.

გთუნი სამართლიანად ამაყობს თავისი აკადემიური პერსონალით, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს და კვალიფიკაცია აიმაღლეს როგორც გთუნის ბაზაზე, ისე მის ფარგლებს გარეთ (მათ შორის საზღვარგარეთ) ჩატარებულ კვალიფიკაციის ამაღლების მრავალ ღონისძიებაში.

ინტერნაციონალიზაცია

ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა სასწავლო უნივერსიტეტის საერთო სტრატეგიის განუყოფელი ნაწილია და გთუნის ხედვიდან და მისიიდან გამომდინარეობს. გთუნის შემუშავებული აქვს ინტერნაციონალიზაციის მიზნები: ორგანიზაციული მართვის ინტერნაციონალიზაცია, საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაციის განვითარება, სტუდენტთა

ინტერკულტურული გამოცდილების გამდიდრება და მხარდაჭერა გლობალიზებულ გარემოში აქტიურობისთვის.

აღსანიშნავია, რომ გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ახალ დამფუძნებელს, ჩინეთის საერთაშორისო განათლების ჯგუფის საგანმანათლებლო დაწესებულებები ჩამოყალიბებული აქვს ჩინეთში, გაერთიანებულ სამეფოში, აშშ-ში, იაპონიაში, სინგაპურში, მალაიზიაში, საქართველოში და სხვ. იგი ცდილობს ჩინური ენისა და კულტურის პოპულარიზაციას მთელი მსოფლიოს მასშტაბით. ეს ყოველივე, თავის მხრივ, მნიშვნელოვანი წინაპირობაა გთუნის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის წარმატებით განვითარებისათვის.

2021 წლის სექტემბერში გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტს ჰონგ-კონგის ტელევიზიის წარმომადგენლები ეწვივნენ. სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტებს მიეცათ საშუალება პირადად შეხვედროდნენ ტელევიზიის წარმომადგენლებს, გაცნობოდნენ მათი მუშაობის სპეციფიკას და ჰონგ-კონგის ტელევიზიის ტურისტული შოუს უშუალო მონაწილენიც გამხდარიყვნენ. სასწავლო უნივერსიტეტში ჰონგ-კონგის ტელევიზიის ტურისტული შოუს წარმომადგენელთა სტუმრობა განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა ტურიზმის სპეციალობის სტუდენტებისთვის, რადგან მათ უცხოელებთან ასეთი ტიპის ურთიერთობები, უთუოდ, წაადგებათ ტურისტული მარშრუტებისა თუ ტურების ეფექტურად შედგენა-განხორციელების საქმეში.

2021 წლის თებერვალში გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტისა და ჩინეთის საერთაშორისო განათლების ჯგუფის ორგანიზებით, ონლაინ საჯარო ლექციები „აბრეშუმის გზა - ისტორია, თანამედროვეობა და მომავალი“ ჩატარდა. მათ უძღვებოდნენ ოთარ ჭილაძე და შალვა ჩიხლაძე, პლატფორმა „სინოლოგიას“ დამფუძნებლები. სპიკერებმა ვრცლად ისაუბრეს ისტორიული აბრეშუმის გზის ჩამოყალიბებისა და განვითარების თავისებურებებზე. 2021 წლის მარტში გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტისა და ჩინეთის საერთაშორისო განათლების ჯგუფის ორგანიზებით, ჩინეთის საერთაშორისო განათლების ჯგუფის მიერ სამხრეთ კორეიდან მოწვეულმა პედაგოგმა მილან ლიიმ ჰანბოკის (კორეული ტრადიციული სამოსის) ჭრის მასტერკლასი ჩატარა. სამხრეთ კორეაში ცნობილი როგორც ჰანბოკი, ხოლო ჩრდილოეთ კორეაში - ჩოსონოტი კორეული ტრადიციული კაბა სამოსია. ტერმინი „ჰანბოკი“, ანუ „კორეელთა ტანსამოსი“ სათავეს იღებს სამი სამეფოს პერიოდიდან (ძვ.წ. I ს. - ახ.წ. VII ს). თანამედროვე სამყაროში კორეელი ქალბატონები სულ უფრო ხშირად ჩნდებიან ტრადიციული სამოსით ოფიციალურ შეხვედრებზე, ფესტივალებსა თუ ცერემონიალებზე. ასევე 2021 წლის 2 მარტს, გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტისა და ჩინეთის საერთაშორისო განათლების ჯგუფის ორგანიზებით ონლაინ ვებინარი ჩატარდა. ვებინარის სახელწოდება იყო „საქართველო-იაპონიის ურთიერთობები და პერსპექტივები“. ონლაინ ვებინარს უძღვებოდა არჩილ მაჭავარიანი, 2016-2020 წლებში იაპონიაში საქართველოს საელჩოს უფროსი მრჩეველი.

2022 წელს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტმა ძალზე საინტერესო ვებინარის „Korean Wave - მუსიკალური სუბკულტურა“ მონაწილეებს უმასპინძლა. ვებინარი სპეციალურად თინეიჯერებისთვის იყო ორგანიზებული და მას უძღვებოდა კორეიდან მოწვეული ლექტორი მილან ლიი. „K-pop“ არის მუსიკალური ჟანრი, რომელიც სამხრეთ კორეაში წარმოიშვა და იგი აერთიანებს ელექტროპოპის, ჰიპ-ჰოპის, საცეკვაო მუსიკის და ბლუზის ელემენტებს. შეხვედრის სალექციო ნაწილის დასრულების შემდეგ სპიკერმა მსმენელთა დასმულ შეკითხვებს უპასუხა.

2022 წელს გთუნიმ ჩამოაყალიბა თანამშრომლობა ორ ჩინურ ორგანიზაციასთან: „Georgian Culture Asia Association“-თან და „Ancient Wines“-თან. აღნიშნული თანამშრომლობის ფარგლებში სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტები შეძლებენ პრაქტიკის/სტაჟირების გავლასა და დასაქმების პერსპექტივების მოძიებას ორივე ორგანიზაციაში. ამავე დროს, გთუნი აღნიშნულ ორგანიზაციებთან გეგმავს ერთობლივი საგანმანათლებლო, კულტურული, სამეცნიერო და სხვა მიმართულებებით თანამშრომლობას.

2022 წლის ივლისში გაფორმდა თანამშრომლობის მემორანდუმი გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტსა და ფონდ “დიასპორების ალიანსი საქართველოსთვის” შორის. აღნიშნული მემორანდუმი სასწავლო უნივერსიტეტს ავალდებულებს უზრუნველყოს სტუდენტების ჩართულობა ფონდის მიერ ორგანიზებულ სხვადასხვა ღონისძიებაში (ტრენინგებში, საჯარო ლექციებში, სემინარებში, ვორქშოფებში და სხვ.) და ასევე ფონდის ბენეფიციარებს შესთავაზოს სასწავლო უნივერსიტეტში სწავლის განსაკუთრებული პირობები. ფონდს კი, თავის მხრივ, ექნება საქართველოს ფარგლებს გარეთ სასწავლო უნივერსიტეტის პოპულარიზაციისა და სტუდენტების როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ პრაქტიკის/სტაჟირების გავლის შესაძლებლობების მოძიებაში დახმარების ვალდებულება.

საერთაშორისო პარტნიორები:

- Katholische Universität Eichstätt-Ingolstadt (Germany);
- Klaipeda State University of Applied Sciences (Lithuania);
- STEKOM University (Indonesia);
- Modul University Vienna (Austria);
- University of Pécs (Hungary);
- Deggendorf Institute of Technology (Germany);
- Turība University (Latvia);
- National Aviation University (Ukraine);
- Higher School of Security and Economics (Bulgaria);

- Erasmus+ Programme. Inter-institutional agreement 2020-2021/2022-2023;
- My Global World Education Group (Switzerland, Denmark, Vietnam, Malaysia, Egypt);
- Ancient Wines (China);
- Georgian Culture Asia Association (China);
- China International Education Group (China).

აკადემიური პერსონალი

გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი სამართლიანად ამაყობს თავისი აკადემიური პერსონალით, რომელთა შორის არიან: DAAD-ის არაერთგზის სტიპენდიები; მედიაციის საერთაშორისო არბიტრი; ტურიზმის მეცნიერ-ექსპერტთა საერთაშორისო ასოციაციის (AIEST- International Cooperation of Scientific Experts in Tourism) მუდმივი წევრი; დიდი ბრიტანეთის ენის აკადემიის 'Imperial English Academy UK' საერთაშორისო აღმასრულებელი კომიტეტის წევრი; ექსპერტები; საქართველოს იურიდიულ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი; საერთაშორისო ინფორმატიზაციის საერთაშორისო აკადემიის წევრი; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს წევრი; საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი; რუმინეთის „ოვიდიუსის“ უნივერსიტეტის საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალის - „ეკონომიკურ მეცნიერებათა სერია“ სარედაქციო საბჭოს წევრი; საერთაშორისო სამეცნიერო რეფერირებადი, იმპაქტ ფაქტორის ჟურნალების „Economics World“, „China-USA Business Review“ (USA), სარედაქციო საბჭოს წევრი და სხვა.

კვლევითი საქმიანობა

გთუნი მნიშვნელოვნად მიიჩნევს განათლებისა და მეცნიერების ერთიანობას, ცდილობს დაიმკვიდროს ღირსეული ადგილი ეროვნულ სამეცნიერო სივრცეში და გახდეს ცნობადი საერთაშორისო ასპარეზზე. ამ მიმართულებით ეწევა მნიშვნელოვან ძალისხმევას და ცდილობს სამეცნიერო საქმიანობის გააქტიურებას. აკადემიური პერსონალის წარმომადგენლები გაერთიანებულნი არიან და წვლილი შეაქვთ სხვადასხვა სამეცნიერო საზოგადოებების, ასოციაციების, კავშირების საქმიანობაში.

გთუნი მტკიცედ მიიჩნევს, რომ მისი სამეცნიერო საქმიანობა, უპირველეს ყოვლისა, უნდა ემსახურობდეს სტუდენტთა ინტერესებს და ამ პრინციპით განისაზღვროს კვლევის პრიორიტეტები. აღნიშნულის გათვალისწინებით, 2015 წლიდან გთუნი თავის სამეცნიერო საქმიანობას წარმართავს არა მხოლოდ პროფესორ-მასწავლებელთა ინდივიდუალურ აქტივობებსა და სამეცნიერო ინტერესებზე ორიენტირებით, არამედ **წლიური სამეცნიერო თემების დამუშავების პრინციპით**, რომელშიც ჩართულია აკადემიური პერსონალის ფართო შემადგენლობა და სტუდენტები. წლიური

სამეცნიერო თემების პრიორიტეტები განისაზღვრება ფაკულტეტებზე პროგრამების მიერ, იგეგმება გთუნის საგანმანათლებლო საქმიანობის ძირითადი მიმართულებების შესაბამისად და ემსახურება მათ განვითარებას, რადგან მიღებული შედეგები გამოიყენება საგანმანათლებლო პროცესში.

2011 წლიდან ყოველწლიურად გამოიცემა “საერთაშორისო სამეცნიერო შრომათა კრებული” და საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „ცხოვრება და კანონი“. კანონი“. გთუნის “სამეცნიერო შრომათა კრებულს” ენიჭება ციფრული იდენტიფიკატორი DOI, რაც გამოიყენება სხვადასხვა მასალის იდენტიფიცირებისათვის და უნიკალური სისტემატიზირებისთვის, სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (ISO) მიერ.

2013-2018 წლებში გთუნის კათედრების მიერ მომზადდა 16 სამეცნიერო-წლიური თემა; ჩატარდა 4 საერთაშორისო, 1 რესპუბლიკური კონფერენცია და 2 კონფერენცია „სამეცნიერო ფესტივალის“ ფარგლებში; მომზადდა და გამოიცა მონოგრაფიები, სახელმძღვანელები; სხვადასხვა ჟურნალებში გამოიცა გთუნის აკადემიური პერსონალის 150-ზე მეტი სტატია (მ.შ. 16 იმპაქტ-ფაქტორის ჟურნალებში). გთუნის პროფესორები აქტიურად მონაწილეობენ სამეცნიერო კონფერენციებში სიმპოზიუმებსა და სემინარებში, მათ შორის საზღვარგარეთაც;

სამეცნიერო საქმიანობის ინტენსიფიკაციისა და მეტი მხარდაჭერის მიზნით გთუნი 2019 წლიდან იწყებს **მიზნობრივ სამეცნიერო პროექტებზე მუშაობას**, რაც შიდა გრანტებით დაფინანსდება. ამ ახალი ინიციატივის წინაპირობას, სწორედ სკვლევითი საქმიანობის ფინანსური თუ ადმინისტრაციული მხარდაჭერის ზემოთ აღნიშნული ინსტიტუციური ღონისძიებები და მათი შედეგები წარმოადგენს.

2021 წელს შეიცვალა სასწავლო უნივერსიტეტის სადამფუძნებლო სტრუქტურა, კერძოდ, სასწავლო უნივერსიტეტის მფლობელი გახდა ჩინეთის საერთაშორისო განათლების ჯგუფი. ცვლილებამ გამოიწვია ინტერნაციონალიზაციის და კვლევების გაუმჯობესების მიზნით კიდევ უფრო მეტი მოქმედებების განხორციელება და დაგეგმვა. კერძოდ, 2021 წელს აქტიურად დაიწყო უცხოენოვანი პროგრამების დანერგვაზე მუშაობა. აღნიშნული პროგრამები მომზადდა და 2022 წლის ზაფხულში წარდგენილია განაცხადი აკრედიტაციის მოპოვებასთან დაკავშირებით. განისაზღვრა შესაბამისი ბიუჯეტი, გაფორმდა მემორანდუმები სხვადასხვა საერთაშორისო უნივერსიტეტთან. მიმდინარეობს აქტიური მარკეტინგული სამუშაოები უცხოენოვანი ნაკადის მისაღებად. უნივერსიტეტში განახლდა აკადემიური პერსონალი, რომელიც ინტერნაციონალიზაციის და კვლევის მიმართულებით დამატებით ღირებულებას შესძენს დაგეგმილ პროცესს.

2021 წელს გთუნიში საჯარო ლექცია Zoom-ის პლატფორმის გამოყენებით წაიკითხა მენდელის უნივერსიტეტის (ჩეხეთი) პროფესორმა, ვლადიმირ დორდევიჩმა. ლექციის თემა იყო „დემოკრატიზაცია დასავლეთ ბალკანეთში (სიტუაცია ყოფილ იუგოსლავიაში)“. 2021 წელს გთუნის საპატიო დოქტორმა, იორნ ვან რაიმ უნივერსიტეტში საჯარო ლექცია წაიკითხა თემაზე „ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის ახალი

გზები“. შეხვედრას ჰააგიდან ჩაერთო გოგი გახარია, საქართველოს პოლიციის ატაშე ნიდერლანდების სამეფოში, რომელიც ამავე დროს არის მეკავშირე ოფიცერი ევროპის საპოლიციო გაერთიანებაში (ევროპოლი).

2022 წლის მარტში გთუნის 1 პროფესორი „Erasmus+“-ის პროექტის ფარგლებში პეჩის უნივერსიტეტში (უნგრეთი) გაემგზავრა ლექციების წასაკითხად. იმავე წლის მაისში გთუნის კიდევ ერთმა პროფესორმა „Erasmus+“-ის პროექტის ფარგლებში ლექციები წაიკითხა ვილნიუსის ბიზნეს კოლეჯში (ლიეტუვა).

2022 წელს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტსა და უსაფრთხოებისა და ეკონომიკის უმაღლეს სკოლას (პლოვდივი, ბულგარეთი) შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. მემორანდუმის ფარგლებში შესაძლებელი იქნება სტუდენტთა, აკადემიური პერსონალისა და თანამშრომელთა გაცვლითი პროგრამებისა და პროექტების დაგეგმვა; ერთობლივი სასწავლო-კვლევითი თანამშრომლობისა და კულტურული აქტივობების განხორციელება; კონფერენციების, სემინარების, სიმპოზიუმების, მოკლევადიანი აკადემიური პროგრამებისა და აკადემიური შეხვედრების ორგანიზება და მონაწილეობა. მემორანდუმი ასევე ითვალისწინებს კვლევითი, სასწავლო მასალების, პუბლიკაციებისა და აკადემიური ინფორმაციების გაცვლას; სტუდენტური ნაშრომების ზედამხედველობასა და მათ განხილვაში მონაწილეობის მიღებას; პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვასა და სხვადასხვა აქტივობის დაგეგმვასა და განხორციელებას.

2022 წელს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტსა და ტურიზას უნივერსიტეტს (რიგა, ლატვია) შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. მემორანდუმი ითვალისწინებს სასწავლო და კვლევითი მიმართულებით თანამშრომლობას. მემორანდუმის ფარგლებში შესაძლებელი იქნება სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა გაცვლა; ერთობლივი საერთაშორისო კონფერენციების, სემინარებისა და სიმპოზიუმების ორგანიზება, ასევე ამ სამეცნიერო ფორუმებში მონაწილეობის მიღება; ერთმანეთისათვის ტექნიკური დახმარების გაწევა და სხვ. იმავე წლის მარტში კიდევ ერთი ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტსა და ვენის მოდულის უნივერსიტეტს შორის. მემორანდუმი ითვალისწინებს თანამშრომლობას სასწავლო და კვლევითი მიმართულებით. მემორანდუმის ფარგლებში შესაძლებელია სხვადასხვა სახის აქტივობის განხორციელება. მათ შორის, სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა გაცვლა. ასევე ერთობლივი საერთაშორისო პროგრამებისა და კვლევითი პროექტების შემუშავება-რეალიზება.

მნიშვნელოვანია, რომ 2022 წლის ივლისში გამარჯვება მოიპოვა გერმანიის ეიხშტაატ-ინგოლშტატის კათოლიკური უნივერსიტეტისა და გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის მიერ წარდგენილმა „Erasmus+“-ის პროექტის ერთობლივმა განაცხადმა. აღნიშნული განაცხადი წარდგენილია ორივე საგანმანათლებლო დაწესებულების თანამშრომლობის ფარგლებში და ითვალისწინებს სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა მობილობას.

2020 წლის ნოემბერში საქართველოს სამეცნიერო-საგანმანათლებლო კომპიუტერული ქსელების ასოციაცია „გრენამ“ ევროკომისიის „NI4OS-Europe“ პროექტის ფარგლებში, ევროპის ღია მეცნიერების „Cloud EOSC“-ის შეხვედრას უმასპინძლა. „NI4OS-Europe“ არის პროექტი, რომელიც ხელს უწყობს ეროვნული ღია მეცნიერების „Cloud“-ის ინიციატივების, სერვისების და ელექტრონული ინფრასტრუქტურის განვითარებას სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის თხუთმეტ ქვეყანაში. ონლაინ შეხვედრას ესწრებოდნენ გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენლები. შეხვედრას უძღვებოდნენ კომპიუტერული ქსელების ასოციაცია „გრენას“ წევრები ბატონი რამაზ ქვათაძე და ქალბატონი თამარ გვენეტაძე, ასევე საქართველოს სამეცნიერო ბიბლიოთეკის დირექტორი ბატონი ირაკლი ღარიბაშვილი.

2022 წლის თებერვალში გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტსა და კომპიუტერული მეცნიერებებისა და ტექნოლოგიების, იგივე სტეკომის უნივერსიტეტს (სემარანგი, ინდონეზია) შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. მემორანდუმის ფარგლებში შესაძლებელი იქნება როგორც სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა გაცვლა, ისე ერთობლივი საერთაშორისო კონფერენციების, სემინარებისა და სხვა აქტივობების დაგეგმვა.

2022 წლის მაისში გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტმა გააფორმა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გლობალურ საგანმანათლებლო ორგანიზაციასთან, სახელწოდებით „My Global World Education Group (MGWEG)“. აღნიშნული ორგანიზაცია ფლობს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შვეიცარიაში, დანიაში, ვიეტნამში, მალაიზიასა და ეგვიპტეში. გთუნი მემორანდუმის ფარგლებში აღნიშნულ ორგანიზაციასთან გეგმავს სტუდენტებისა და აკადემიური/მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის მობილობას; ერთობლივი სასწავლო და კვლევითი პროექტების განხორციელებას; კონფერენციების, სემინარებისა და სხვა აქტივობების ორგანიზებას. განსაკუთრებით ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ გთუნი აღნიშნული ორგანიზაციის ქოლგის ქვეშ არსებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან გეგმავს ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ჩამოყალიბებას.

2022 წლის ივნისში გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტში გაფორმდა მემორანდუმი ჩინეთის საერთაშორისო განათლების ჯგუფს, კავკასიის უნივერსიტეტსა და გთუნის შორის. აღნიშნული დოკუმენტის ფარგლებში დაგეგმილია ინსტიტუციებს შორის თანამშრომლობა გაცვლითი პროექტების, ერთობლივი კონფერენციებისა და სხვა საგანმანათლებლო და სამეცნიერო თვალსაზრისით. ამასთან, მხარეებმა აიღეს ჩინური ენის პოპულარიზაციის ვალდებულება. 2022 წელს იმავე მიზნებით მემორანდუმი ასევე გაფორმდა ჩინეთის საერთაშორისო განათლების ჯგუფს, მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტ „ალტერბრიჯსა“ და გთუნის შორის.

აღსანიშნავია, რომ გთუნი აქტიურად განაგრძობს თანამშრომლობას "Erasmus+"-ის, "Visegrad"-ისა და სხვა ფონდებთან. მიუხედავად პანდემიით გამოწვეული შეფერხებებისა, გთუნი სამომავლოდ გეგმავს მრავალი მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელებას აღნიშნულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით.

2022 წლის საშემოდგომო სემესტრში იგეგმება საერთაშორისო ერთობლივი კონსორციუმის შექმნა, რომელშიც ჩართული იქნებიან მსოფლიოს სხვადასხვა უნივერსიტეტების მეცნიერები და კვლევებს გარე ექსპერტიზას გაუწევს როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო გარე ექსპერტი.

სტუდენტი

აქტიური საუნივერსიტეტო ცხოვრება, სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები და მათი გამრავალფეროვნება გთუნის საქმიანობის უმნიშვნელოვანესი მიზანია. სტუდენტები აქტიურად არიან ჩართულნი საუნივერსიტეტო ცხოვრებაში, მონაწილეობენ საგანმანათლებლო პროგრამების შინაარსის ჩამოყალიბების, აკადემიური პროცესების მონიტორინგისა და უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესების მართვაში, აგრეთვე სამეცნიერო აქტივობებში.

2011 წლიდან ჩატარდა 9 სტუდენტური სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია (მათ შორის 4 უნივერსიტეტთაშორისი), რომელშიც 200-ზე მეტი სტუდენტი იყო ჩართული.

გთუნი ზრუნავს, რომ სტუდენტმა თეორიულ ცოდნასთან ერთად მიიღოს პრაქტიკული გამოცდილება, რისთვისაც ურთერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა 70-ზე მეტ სახელმწიფო თუ კერძო ორგანიზაციასთან, რომლებიც უზრუნველყოფენ გთუნის სტუდენტთა მიერ პრაქტიკის, სტაჟირების გავლას და ხშირ შემთხვევაში, დასაქმებასაც.

სტუდენტური თვითმმართველობა ადმინისტრაციის ფინანსური მხარდაჭერით უზრუნველყოფს თავისუფალი დროის რაციონალურად გამოყენებას, ხელს უწყობს სტუდენტთა შემოქმედებითი და სპორტული პოტენციალის განვითარებას.

გთუნი ახორციელებს სტუდენტთა მხარდაჭერისა და წახალისების არა ერთ ღონისძიებას. მათ შორისაა, სახელობითი თუ ჩვეულებრივი სტიპენდიები, გთუნის პარტნიორი კომპანიის სტიპენდიები; საუნივერსიტეტო ოლიმპიადებისა და კონკურსების გამარჯვებულთა დაჯილდოება ლოპოტას და ბაზალეთის სასტუმროებში დასვენებით; ფასდაკლების მთელი რიგი ღონისძიება სხვადასხვა კატეგორიის სტუდენტთათვის; მოწყვლადი ჯგუფის სტუდენტების სწავლის საფასურისაგან სრულად ან ნაწილობრივ გათავისუფლება; სხვადასხვა პრობლემის არსებობის შემთხვევაში სტუდენტის ფინანსური დახმარება და სხვა, რაც დეტალურად არის გაწერილი დოკუმენტში „სტუდენტთა მხარდაჭერის მექანიზმები“.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება სტუდენტთა ჩართულობას უცხოელი ლექტორების მიერ ჩატარებულ მასტერ-კლასებში, ლექციებში, ტრენინგებში, რისთვისაც გთუნიში, როგორც წესი წელიწადში

რამდენიმე უცხოელი სპეციალისტია მოწვეული. მაგალითად, 2017-2019 წლებში ჩატარდა შემდეგი ღონისძიებები:

ლექციები/ტრენინგები:

- “Neuromarketingk” (8 სთ) - მარტენ კოერტსი, ინჰოლანდის უნივერსიტეტი, ნიდერლანდები;
- “Financial Accounting” (8 სთ) - ერვინ ტვინი, ინჰოლანდის უნივერსიტეტი (ნიდერლანდები);
- “Statistics SPSS “, (8 სთ) -რონ რენდოლფი, ინჰოლანდის უნივერსიტეტი (ნიდერლანდები);
- „Research Methods in Criminology”(8 სთ) - პროფ. იორნ ვან რაი, ინჰოლანდის უნივერსიტეტი (ნიდერლანდები);
- “Organized Crime (8 სთ)-პროფ. იორნ ვან რაი, ინჰოლანდის უნივერსიტეტი (ნიდერლანდები)
- “Eoropean Law” (12 სთ)- პროფ. რაინჰარდ პაულინგი (ყოველწლიური);
- „European System of Education and Inholland University” (4 სთ), დოქტ. ჩერეკ ბუსტრა;
- „Cross-cultural Communications in The Modern World” (8 სთ), ინჰოლანდის პროფ. სარა დიუკელი, როტერდამის სამართლის, ბიზნესისა და ფინანსების სკოლა, (ნიდერლანდები);
- “Eco friendly Hotels: concepts and practice”-პროფ. ვოლფგანგ ფუქსი, ბადენ-ვიურტენბერგის დუალური სწავლების უნივერსიტეტთან (გერმანია);
- “Sustainable development of Destinations” -პროფ. ჰარალდ პეჰლანერი, ეიხშტაატ-ინგოლშტატის უნივერსიტეტი (გერმანია)
- საჯარო ლექცია: „სლოვენისა და ევროპის სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები“. პროფ. დემიან კორაჟიჩის, პროფ. ვიდ იაკულინის, პროფ. თადეა იერე იაკულინის, ლუბლიანას უნივერსიტეტი (სლოვენია);
- “Process of Eurointegration in Central Eutope -Vishegrad countries experience“ (8 სთ) პროფ. პოდრუშიკ სზილარდი (უნგრეთი);
- „Personality and Leadership” (6 სთ), დოქტ. ჩერეკ ბუსტრა (ნიდერლანდების სამეფო);
- „Adventure Tourism”(4სთ)- ჰეტი ვერსნელი, ჰაარლემის ტურიზმის მენეჯმენტის სკოლა (ნიდერლანდები);
- „Community based Tourism“- დიკ ვეინანდსი, გოუნის საპატიო დოქტორი, ნიდერლანდები;
- და სხვა

მრავალფეროვანია კარიერული მხარდაჭერისა და დამსაქმებლებთან ურთიერთობების ღონისძიებები, რაც წელიწადში რამდენჯერმე ტარდება, როგორც გოუნ-ში, ისე მის ფარგლებს გარეთ. სტუდენტები მონაწილეობდნენ „კარიერის დაგეგმვის გამოფენაში“(GNTA); ხვდებიან „HR დასაქმების ფორუმის“ წარმომადგენლებს, სხვადასხვა კერძო თუ სახელმწიფო სტრუქტურის წარმომადგენლებს და სხვა, სადაც შესაძლებლობა აქვთ დასვან კითხვები და მიიღონ პასუხები;

აღიარებს რა განათლების მიღების უფლების საყოველთაობას, გთუნი ცდილობს ისეთი გარემოს შექმნას, რომელიც უზრუნველყოფს განსხვავებული საჭიროებების პირებს მიიღონ ხელმისაწვდომი და ხარისხიანი განათლება.

საზოგადოებრივი აქტივობები

გთუნი მაღალი სოციალური პასუხისმგებლობის უმაღლესი სასწავლო დაწესებულებაა და მიაჩნია, რომ არსებობის მანძილზე, გარკვეული წვლილი შეაქვს საზოგადოების განვითარებაში.

მონაწილობა მიიღო ფონდის „მომავლის გზა“ და საერთაშორისო ჰუმანიტარულ ასოციაციის „კათარზისის“ საქველმოქმედო აქციებში; ორგანიზება გაუწია საქველმოქმედო აქციას ერგნეთელი მოსწავლეებისთვის, 114 საჯარო სკოლის სოციალურად დაუცველი მოსწავლის დაბადების დღის აღნიშვნას; აქტიურად მონაწილობდა დონაციის დღეებში „ გაიღე სისხლი, გადაარჩინე სიცოცხლე“, დედამიწის საერთაშორისო დღის აღნიშვნაში - „სუფთად ევროპისაკენ“; პროექტი „COATS“ - მზრუნველობა მოკლებული ბავშვების დასახმარებლად; არაერთგზის ჩაატარა აქცია გთუნის სტუდენტთა დასახმარებლად, რომელთაც ჯანმრთელობის მძიმე პრობლემები შეექმნათ; საინტერესო და სახალისო ღონისძიებები გაუმართა შეზღუდული შესაძლებლობების ბავშვებს, მზრუნველობა- მოკლებულ ბავშვებს; გთუნის პროფესორ-მასწავლებლები ინფორმაციულ ტექნოლოგიებსა და ინგლისურ ენაში ლექციებს უტარებდნენ რუსთავის პენიტენციურ დაწესებულებებში მყოფ პირებს და სხვა.

გთუნი პოპულარიზაციას უწევს ცხოვრების ჯანსაღ წესს და აქტიურად მონაწილეობს სხვადასხვა მასშტაბის სპორტულ ღონისძიებებში (უნივერსიადები, შეჯიბრები ქალაქის მერიის თასზე, მარათონი, ტურნირები და სხვა). რომელშიც სტუდენტებმა წარმატებებსაც მიაღწიეს, მაგალითად: გამარჯვება კიკბოქსინგის საერთაშორისო ტურნირში; პირველი ადგილი ცურვაში სტუდენტური ლიგის ჩემპიონატში; „ზამთრის უნივერსიადა 2016“- III ადგილი ;თბილისის „სტუდენტური ოლიმპიადა 2016“, გთუნის ფუტსალის გუნდის II ადგილი; „უნივერსიადა 2016“ და „უნივერსიადა 2017“ ძიუდოში ზედიზედ გამარჯვება და I ადგილი; ევროპის ღია პირველობის III ადგილი ძიუდოში; ქვიშის ფეხბურთის ტურნირი საზაფხულო უნივერსიადის ფარგლებში- II ადგილი; ბილიარდის ტურნირის II ადგილი; წყვილთა რბოლა (რალი) - II ადგილი; „უნივერსიადა 2018“, ძიუდო - I ადგილი; ძიუდო - ევროპის უნივერსიადის ოქროს მედალი.

გთუნი მონაწილეობს საქართველოსთვის მნიშვნელოვანი თარიღების აღნიშვნის ღონისძიებებში, ყოველწლიურად აღნიშნავს ქართული ჟურნალისტიკის დღეს, წიგნის კითხვის საერთაშორისო დღეს. საჩუქრად გადასცა ახალი სახელმძღვანელოები თბილისის უნივერსიტეტების ბიბლიოთეკებს და სხვა.


ზემოაღნიშნულის მიუხედავად, ვაცნობიერებთ, რომ საზოგადოების განვითარებაში უფრო მნიშვნელოვანი როლი შეგვიძლია შევასრულოთ საკუთარი ადამიანური, ინტელექტუალური, ინფრასტრუქტურული და ფინანსური რესურსების გამოყენებით, ეფექტიანი პროექტების შემუშავებითა და განხორციელებით, რაც მომავალი შვიდი წლის საქმიანობის ერთ-ერთი მიზანია.

მიუხედავად იმისა, რომ არსებობის ხანმოკლე ისტორიის მანძილზე გთუნიმ მიაღწია შესამჩნევ პროგრესს საუნივერსიტეტო საქმიანობაში, განვითარება და ხარისხის გაუმჯობესება შეუქცევადი პროცესია და რაც კარგი იყო გუშინ, ის საკმარისი აღარ არის დღეს, რადგან დაგროვილი გამოცდილება და მოპოვებული რეპუტაცია მეტი წინსვლის შესაძლებლობას იძლევა განახლებული სტრატეგიის საფუძველზე.

3. ორგანიზაციული სტრუქტურა

2021 წელს სასწავლო უნივერსიტეტის მფლობელი გახდა ჩინეთის საერთაშორისო განათლების ჯგუფი. რამაც გამოიწვია სასწავლო უნივერსიტეტის სადამფუძნებლო სტრუქტურის შეცვლა. სტრუქტურულ ერთეულებში დასაქმებულნი ფლობენ სტრატეგიის რეალიზებისთვის აუცილებელ კომპეტენციებს და რესურსებს. მათზეა დამოკიდებული თუ რამდენად ეფექტიანი და მოქნილი იქნება გოთუნის საქმიანობა; რა ვადებში, რა ხარისხით და რამდენად შედეგიანად შესრულდება სტრატეგიული გადაწყვეტილებები და ვალდებულებები.

გურამ თავართქილაძის უნივერსიტეტის ორგანიზაციული სქემა



4.ხედვა, მისია, ღირებულებები

ჩინეთისა საერთაშორისო განათლების ჯგუფის დამფუძნებლად შემოსვლასთან დაკავშირებით, 2021 წელს მოხდა შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ხედვა მისი და ღირებულებათა სისტემის მოდიფიცირება, რომელიც შემეგი სახით ჩამოყალიბდა:.

გთუნის ხედვა

2025 წლისათვის შპს გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი არის თანამედროვე გამოწვევებზე ორიენტირებული საერთაშორისო სტატუსის მქონე უნივერსიტეტი, რომლის მთავარი ორიენტირია სწავლებისა და კვლევების ინტერნაციონალიზაციის მაღალი ხარისხი და ინოვაციურობა.

სასწავლო უნივერსიტეტი, პროფესიონალთა გუნდით, თანამედროვე აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებით, კეთილმოწყობილი ინფრასტრუქტურით, თეორიული და პრაქტიკული სწავლებით ხელს უწყობს ხარისხიანი ცოდნის მიღებას, გამოყენებასა და გავრცელებას, ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზრის თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი, კრეატიული და თავისუფლად მოაზროვნე, სათანადო კომპეტენციების მქონდე კურსდამთავრებულთა მომზადებას; მომავალი თაობის ცნობიერებაში ეროვნული და მულტიკულტურულ ფასეულობათა დამკვიდრებით, სამოქალაქო საზოგადოების განვითარებას.

გთუნის მისია

შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის მისიაა:

- შექმნას ინოვაციური ცოდნის პლატფორმა საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში; უზრუნველყოს პრაქტიკულ კვლევებზე დაფუძნებული მაღალი ხარისხის განათლება; სტუდენტებისა და პერსონალის საერთაშორისო ურთიერთობების დიაპაზონის გაფართოება და დივერსიფიცირება; ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კონკურენტუნარიანი კურსდამთავრებულის მომზადება, რომელიც, ეთიკურ და დემოკრატიულ პრონციპებზე დაყრდნობით, თავისუფალი და შემოქმედებითი მიდგომებით, ადვილად შეძლებს ცვალებად გარემოში ადაპტირებას.

გთუნი მოწოდებულია მუდმივად გაანალიზოს და საჭიროების შემთხვევაში განახლოს მისია, რათა უზრუნველყოს სასწავლო დაწესებულების შესაბამისობა სახელმწიფოს, საზოგადოების, შრომის ბაზრის ცვლად მოთხოვნებთან და თანამედროვე გამოწვევებთან.

გთუნის მისია მხარდაჭერილია უნივერსიტეტში აღიარებული ღირებულებებით, რაც მთელი საუნივერსიტეტო საზოგადოებისთვის სახელმძღვანელო პრინციპს წარმოადგენს.

გთუნის ღირებულებებია:

- ხარისხის კულტურის განვითარება.
- ეროვნული და საერთაშორისო ფასეულობების პატივისცემა;
- სამართლიანობა, აკადემიური კეთილსინდისიერება და თავისუფლება;
- კოლეგიალობა, გამჭვირვალობა, გუნდურობა; სასწავლო უნივერსიტეტის განახლებული მისია გაზიარებულია ყველა დაინტერესებული პირისათვის. კერძოდ: სტუდენტების, აკადემიური, მოწვეული დამხმარე პერსონალისთვის.

5. SWOT ანალიზი

საქმიანობის პრიორიტეტების განსაზღვრისას ძალზე მნიშვნელოვანია იმ გამოწვევების გათვალისწინება, რომელთა წინაშე დგას შპს თავართქილადის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი, რომელთა შორის აღსანიშნავია:

მაღალი კონკურენცია უსდ-ებს შორის: როგორც ცნობილია, საქართველოს საგანმანათლებლო ბაზარი გაჯერებულია უმაღლესი სასწავლო დაწესებულებებით, რაც მძაფრი კონკურენციის პირობებში აყენებს მათ. შესაბამისად, კონკურენტუნარიანობის ზრდა და მისი შენარჩუნება მნიშვნელოვანი გამოწვევაა გთუნისთვის. გამოწვევასთან გამკლავება საჭიროებს ოპერატიულ და ეფექტურ ქმედებებს ინსტიტუციური განვითარებისა და ხარისხის ამაღლების კუთხით, რაც სტრატეგიული განვითარების გეგმის პრიორიტეტია. ეფექტური ქმედებების განხორციელებას ხელს უწყობს კონკურენტული საგანმანათლებლო გარემოს უკეთ ცოდნაც. ამ თვალსაზრისით გაანალიზდა მსგავსი მასშტაბისა და სტატუსის უსდ-ების საქმიანობის ასპექტები, გამოცდილება, საუკეთესო პრაქტიკა, რამაც მოგვცა მნიშვნელოვანი ინფორმაცია საკუთარი საქმიანობის ობიექტურად და კრიტიკულად შეფასებისთვის. კონკურენტუნარიანობის ზრდის ერთერთ პერსპექტივად გთუნი მიიჩნევს ინტერნაციონალიზაციის გაფართოებას და ამავე დროს, სახელმწიფო ინიციატივას: „Study in Georgia“, რომლის ფარგლებში, მომავალი 7 წლის განმავლობაში იგი სერიოზულ ძალისხმევას გასწევს უცხოენოვანი პროგრამების მომზადებისა და უცხოელი სტუდენტების მოზიდვის საქმეში.

ეკონომიკური მდგომარეობა: ეკონომიკური მდგომარეობა გავლენას ახდენს/მოახდენს სტუდენტთა გადახდისუნარიანობაზე და ზრდის ამ მიზეზით სტატუსის შეჩერების პრევენდენტებს, საბოლოოდ კი, აისახება უნივერსიტეტის სიცოცხლიუნარიანობაზე.

სამუშაო ადგილების სიმცირე და ორგანიზაციების მიერ არასპეციალობით თანამშრომელთა აყვანის პრაქტიკა: სამუშაო ადგილების სიმცირე არსებით გავლენას ახდენს/მოახდენს კურსდამთავრებულთა პროფესიით დასაქმებაზე, ისევე, როგორც არასპეციალობით თანამშრომელთა აყვანის მავნე პრაქტიკა, რაც საკმაოდ ხშირად გამოვლინდა, განსაკუთრებით კერძო სექტორში, შრომის ბაზრის ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის დროს. ამ გამოწვევასთან გამკლავება გთუნი-ს შეუძლია სტუდენტების მიღწევების ხარისხის ამაღლებით, სპეციალობით დასაქმების ხელშემწყობი აქტივობებით, დამსაქმებლებთან მჭიდრო კონტაქტებით და მათ მოთხოვნებზე მეტი ფოკუსირებით.

ქვეყანაში არსებული დემოგრაფიული ვითარება: დემოგრაფიული ვითარება, რის შედეგადაც პროგნოზირებულია ე.წ. აბიტურიენტობისა და სტუდენტური ასაკის მოსახლეობის რაოდენობის კლება, ნეგატიურად აისახება უმაღლეს სასწავლებლების სტუდენტთა რაოდენობის დინამიკაზეც. ამ


კონტექსტში, გთუნი გეგმავს მეტი ფოკუსირება მოახდინოს სხვა ასაკობრივ მიზნობრივ ჯგუფებზეც, პროგრამების შექმნაზე „სწავლა მთელი ცხოვრების განმავლობაში-LLL” ფარგლებში და მათ კომერციალიზაციაზე;

აკადემიური პერსონალის ასაკობრივი სტრუქტურა : მიუხედავად იმისა, რომ ამ ეტაპზე გთუნი არ განიცდის კვალიფიციური აკადემიური პერსონალის ნაკლებობას, მისი „დაბერების“ ტენდენცია და თაობათა ცვლის უწყვეტობა ახლო მომავალში ყურადღებას იმსახურებს. შესაბამისად, ამ კონტექსტში გთუნი გეგმავს ახალგაზრდა მეცნიერ-პედაგოგების მოზიდვას და მათ განვითარებაზე ზრუნვას.

ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ახალი სტანდარტები: ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ახალი საერთაშორისო სტანდარტებით განსაზღვრული მოთხოვნების უაღრესად შეზღუდულ დროში იმპლემენტაცია, სერიოზულ გამოწვევას წარმოადგენს, რამაც გთუნისაგან მოითხოვა საქმიანობის რიგი ასპექტის, მიდგომის, რეგულაციის გადახედვა და ოპერატიული მოდიფიცირება.

SWOT ანალიზი

სტრატეგიული გეგმის ძირითადი პრიორიტეტების გამოკვეთის, კონკრეტული სტრატეგიული მიზნების ჩამოყალიბების და ახალი იდეების გენერირების ინსტრუმენტია სტრატეგიული ანალიზი, რომლისთვისაც გთუნი იყენებს SWOT ანალიზის მეთოდს.



SWOT ანალიზის შედეგად ხდება საუნივერსიტეტო საქმიანობის შიდა ფაქტორების და საქმიანობაზე მოქმედი გარე ფაქტორების ანალიზი.

შიდა ფაქტორების ანალიზმა მოიცვა სხვადასხვა სეგმენტები: სწავლა-სწავლების მეთოდები და ტექნოლოგიები; ამ პროცესისათვის შესაბამისი პირობები; ხარისხის უზრუნველყოფა; სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა; პერსონალი და მათი პროფესიული განვითარების მხარდაჭერა; სტუდენტური სერვისები; რესურსები; შრომის პირობები; მართვის სისტემა და ა.შ. ანალიზის შედეგად გამოვლინდა გთუნის საქმიანობის ძლიერი და სუსტი მხარეები;

გარე ფაქტორების ანალიზმა მოიცვა: განახლებული კანონმდებლობა, მოთხოვნები და სტანდარტები; ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობის ძირითადი ასპექტები (მათ შორის, დემოგრაფიული ვითარება, დასაქმება, კონკურენტული გარემო, მოთხოვნები უნივერსიტეტებში არსებულ სპეციალობებზე და სხვ). გარე ფაქტორების ანალიზი იძლევა საფრთხეების პრევენციისა და რისკების მართვის შესაძლებლობებს.

ანალიზის შედეგად ჩამოყალიბდა უნივერსიტეტის რეალური მდგომარეობის სურათი, კერძოდ:

| S | ძლიერი მხარეები |
|---|--|
| | <ul style="list-style-type: none"> - გთუნის ახალი დამფუძნებელი გახდა “ჩინეთის საერთაშორისო განათლების ჯგუფი”, რომელიც ახორციელებს ინვესტიციებს დაწესებულების განვითარებისთვის. - გთუნის მომავლის ხედვასა და მისიში გაცხადებულია მისი როლი და ადგილი საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში; სტუდენტზე ორიენტირებული ინოვაციური და მაღალხარისხიანი განათლება; - 3 წლიანი სამოქმედო გეგმის შეფასება და ახალი დამფუძნებლის ხედვის მიხედვით აქტივობების დამატება. - დაწესებულების 13 წლიანი გამოცდილება. - გთუნის სტრატეგიით განსაზღვრული მიზნების, ამოცანებისა და ქვეამოცანების ვალიდური ბიუჯეტირება და ახალი დამფუძნებლის დაფინანსება; - ახალი დამფუძნებლის ხედვა ინტერნაციონალიზაციის ხარისხის ამაღლებისთვის. - ინსტიტუციის ეფექტიანად მართვაზე ორიენტირებული განახლებული ორგანიზაციული სტრუქტურა. - ადმინისტრაციული ერთეულების შემადგენლობის გადახალისება. - მართვაში გამოყენებულია ელექტრონული საქმისწარმოების მოდიფიცირებული სისტემა. - აკადემიური კეთილსინდისიერების პოლიტიკის განვითარება. - ხარისხის კულტურის განვითარება. - ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზარზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროგრამები; - ახალი ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების დამატება. - კანონმდებლობის შესაბამისი, ცვლილებებზე სწრაფი რეაგირება და საგანმანათლებლო პროგრამებში ასახვა. |

- განახლებული სტრუქტურის მიხედვით სამუშაო აღწერილობებისა და კომპეტენციების არსებობა;
- პერსონალის კორექტირებული დატვირთვის სქემა;
- მოდიფიცირებული HR პოლიტიკა;
- პერსონალის არჩევისა და დანიშვნის გამჭვირვალე პროცედურა;
- პროფესიული განვითარების გეგმისა და ცენტრის არსებობა;
- სტაჟირებისა და პრაქტიკის პროგრამები;
- დამატებითი (კურიკულუმის გარე აქტივობები - სპორტული, ხელოვნების, შემეცნებითი აქტივობები) წახალისება და სტუდენტური ინიციატივების ხელშეწყობა, მხარდაჭერა;
- სტუდენტთა სხვადასხვა მხარდამჭერი ღონისძიებები (სტიპენდია, სწავლის საფასურის გადახდის მოქნილი სქემა და სხვა შეღავათები).
- სტუდენტების მოთხოვნებზე მორგებული სტუდენტური სერვისები;
- ცოდნის მიღწევის მოქნილი სისტემა; ინდივიდუალური სწავლის გრაფიკები;
- სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმები.
- ელექტრონული/დისტანციური სწავლების დანერგვა და ხელშეწყობა.
- მაღალკვალიფიციური აკადემიური/ავილირებილი პერსონალი;
- ადგილობრივ და საერთაშორისო კლევებში ახალი დამფუძნებლის ინვესტიცია;
- შიდა საგრანტო პროექტი;
- სამეცნიერი შრომათა კრებული;
- პერსონალის კვლევითი პოტენციალი;
- ადგილობრივი და საერთაშორისო სამეცნიერო აქტივობები (სტუდენტები და პერსონალი);
- კეთილმოწყობილი მატერიალურ ტექნიკური ბაზა;
- შშმ პირებისთვის ადაპტირებული გარემო;
- სტუდენტური საცხოვრებლისა და საკალათბურთო დარბაზის მშენებლობის პროექტირება. უნივერსიტეტის ცენტრალური კორპუსის შემოსასვლელის რეკონსტრუქტირება;
- მართვის ელექტრონული სისტემების განვითარების ხელშეწყობა;
- სასწავლო უნივერსიტეტის ცნობადობის ამალგების მიზნით განხორციელებული მარკეტინგული აქტივობები;
- შრომის უსაფრთხოებისა და სამედიცინო დახმარების გამართული სისტემა;
- განვითარებაზე ორიენტირებული საბიბლიოთეკო რესურსი;
- დამფუძნებლის მიერ ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფა;
-

- უცხოელი საპატიო დოქტორები, რომელთაც წვლილი შეაქვთ გთუნის განვითარებაში;
- მდგრადი საერთაშორისო კავშირები და უცხოელი სპეციალისტების ჩართულობა აკადემიური პერსონალის და სტუდენტების პროფესიული განვითარების ღონისძიებებში;
- ინგლისურენოვანი ტრენინგ-კურსები ინგოლშტატის (გერმანია) უნივერსიტეტის მაგისტრებისათვის;
- ავტორიტეტულ საერთაშორისო ასოციაციებში, საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალების სარედაქციო საბჭოებში, პროფესიულ საზოგადოებებში/აკადემიებში, სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოებში აქტიურად ჩართული აკადემიური პერსონალი;
- სწავლების ხელმისაწვდომი საფასური და გადახდის მოქნილი, სტუდენტზე ორიენტირებული სისტემა;
- თანამედროვე ბიბლიოთეკა მდიდარი წიგნადი (ბეჭდური და ელექტრონული) ფონდით, საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებთან (EBSCO, ELSEVIER) წვდომა;
- ევროკომისიის მიერ დაფინანსებული ტრენინგისა და კონსალტინგის ცენტრი GT CTC;
- სასწავლო ინკუბატორი; რადიო და ტელე ლაბორატორია, სასამართლო კლინიკა, კრიმინალისტიკის ლაბორატორია, სასწავლო ბანკი, სასწავლო ტურისტული სააგენტო და კონსალტინგის ცენტრი;
- უსაფრთხო გარემო და განვითარებული ინფრასტრუქტურა; თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი აუდიტორები და კომპიუტერული კლასები, საკონფერენციო დარბაზები, სპორტული მოედანი; სტუდენტთა ჯგუფური მუშაობის სივრცეები, სარეკრეაციო სივრცე;

W

სუსტი მხარეები

- ქალაქის ცენტრისაგან მოშორებული ადგილმდებარეობა;
- არასაკმარისი მარკეტინგული და პიარ ღონისძიებები;
- სახელმწიფო გრანტით ჩარიცხულ სტუდენტთა დაბალი მაჩვენებელი;
- უცხოურენოვანი კურსების, მოდულების შედარებით მცირე რაოდენობა;
- დამატებითი მომსახურების კომერციალიზაციის შესაძლებლობების არასრულად გამოყენება;

O

შესაძლებლობები

- ეფექტური მარკეტინგული და პიარ აქტივობების განხორციელება გთუნის ცნობადობის გაზრდისთვის;
- სტრატეგიული განვითარების გეგმის მოდიფიცირება და ბაზარზე არსებული აქტივობების დამატება;
- ინტერნაციონალიზაციის მიმართულების გაძლიერება;

- ორგანიზაციული კულტურის განვითარება;
- დაწესებულებაში ამ ეტაპზე საქმისწარმოება მიმდინარეობს როგორც მატერიალური სახით ასევე emisadmin.gtuni.ge, მაგრამ მიმდინარეობს მოლაპარაკება, რომ 2022 - 2023 წლიდან საქმისწარმოება გადავიდეს E-Flow ელექტრონული საქმისწარმოების სისტემაზე.
- სასწავლო უნივერსიტეტში ანგარიშის წარდგენამდე იყენებდა პლაგიატის აღმომჩენ პროგრამა "URKUND", თუმცა „საქართველოს ბიბლიოთეკების ინტეგრირებული საინფორმაციო ქსელის კონსორციუმი 2017“-მა ივლისის ბოლოს შეწყვიტა აღნიშნული მომსახურება და სასწავლო უნივერსიტეტი აწარმოებს მოლაპარაკებას "Turnitin"- ის პლაგიატის აღმომჩენი პროგრამის შექმნაზე.
- ხარისხის კულტურის განვითარება;
- აკრედიტაციის ახალი სრტანდარტებისა და კლასტერული აკრედიტაციის შესაბამისად საგანმანათლებლო პროგრამების მოქმედ კანონმდებლობასთან მოყვანა;
- სტუდენტური სერვისების რეგულარული განვითარება;
- მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მუდმივი განვითარება სტუდენტური საცხოვრებლის და საკალათბურთო მოედანის აშენება/მოწყობა;
- საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარება;

T

საფრთხეები

- მაღალი კონკურენცია უსდ-ბს შორის და უნივერსიტეტების რიცხვის ზრდა;
- გაუთვალისწინებელი ან სწრაფი საკანონმდებლო ცვლილებები;
- კონკურენტი უსდ-ბის სწრაფი და ეფექტიანი ინფრასტრუქტურული განვითარება;
- ეკონომიკური და პოლიტიკური რყევები;
- უმაღლეს განათლებაზე მოთხოვნის შემცირება პროფესიული განათლების სასარგებლოდ;
- სამუშაო ადგილების და შესაბამისად, სტუდენტთა დასაქმების შესაძლებლობების შემცირება;
- სტუდენტთა მიზიდვა-გადაბირება კონკურენტების მხრიდან არაკეთილსინდისიერი ხერხების გამოყენებით;
- გოუნის რეპუტაციის შემლახავი მიზანმიმართული ქმედებები.

2019 და 2021 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების შეფასების შედეგების, კერძო უმაღლესი სასწავლებლების წინაშე არსებული გამოწვევების, კონკურენტული გარემოს ანალიზის, SWOT

ანალიზის, და აგრეთვე, გთუნის მისიის, ღირებულებების და სახელმძღვანელო პრინციპების გათვალისწინებით, დასახულია 2019-2025 წწ. სტრატეგიული პრიორიტეტები.


6. სტრატეგიული გეგმის სტრუქტურა

სტრატეგიული გეგმის სტრუქტურა მოიცავს სტრატეგიულ მიზნებს, ამოცანებს და შესრულების ინდიკატორებს.

სტრატეგიული მიზნები

სტრატეგიული მიზნების გამოკვეთა სტრატეგიული დაგეგმვის არსებითი ეტაპია, რომელიც გულისხმობს გადაწყვეტილების მიღებას, თუ რა არის რეალურად მნიშვნელოვანი და პრიორიტეტული უნივერსიტეტის განვითარებისათვის და რა მიმართულებით უნდა გასწიოს მან თავისი განსაკუთრებული ძალისხმევა.

მისიისა და ხედვის საფუძველზე, გთუნის წინაშე მდგარი გამოწვევების გათვალისწინებით, SWOT ანალიზის, 2019-2021 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების შეფასების შედეგად და საუნივერსიტეტო საზოგადოების ფართო ჩართულობით, გთუნიმ გამოკვეთა მომავალი შვიდი წლის მანძილზე თავისი საქმიანობის ოთხი სტრატეგიული მიზანი, კერძოდ:



7. სტრატეგიული მიზნები, ამოცანები და ინდიკატორები

სტრატეგიული მიზანი 1. ინსტიტუციური განვითარების ხარისხის ამაღლება და საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის ზრდა

თანამედროვე ეკონომიკური, სოციალური და დემოგრაფიული გამოწვევები განსაკუთრებით აისახება სასწავლო დაწესებულების მდგრადობაზე და გთუნისგან შემხვედრ ღონისძიებებს საჭიროებს. ამ კონტექსტში გთუნის პრიორიტეტია ინსტიტუციური განვითარების ხარისხის ამაღლება და საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის ზრდა, რაც კომპლექსური პროცესია და ერთდროულად სხვადასხვა მიმართულებით განხორციელებულ ან გასაუმჯობესებელ ქმედებებს მოითხოვს.

ინსტიტუციური განვითარების ხარისხის ამაღლებით გაიზრდება კონკურენტუნარიანობა და მდგრადობა გთუნის საქმიანობის ყველა მიმართულებით: ფინანსურად, საკადრო თვალსაზრისით, მენეჯმენტის კუთხით, საზოგადოებრივი სტატუსისა და ინფრასტრუქტურის თვალსაზრისით.

ინსტიტუციური განვითარების ხარისხის ამაღლება უშუალოდ უკავშირდება გთუნის საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის ზრდის საკითხს, ვინაიდან, გთუნი აცნობიერებს, რომ სწავლებისა და კვლევითი აქტივობების გარდა, მისი არსებობის მესამე ფუნქციაა-წვლილის შეტანა ქვეყნის და საზოგადოების განვითარებაში.

„საზოგადოების განვითარება“, თავისთავად უაღრესად ფართო და მრავალასპექტიანი ცნებაა, შესაბამისად ამ ფუნქციის რეალიზებისათვის გთუნიმ განსაზღვრა საზოგადოების განვითარებაში კონტრიბუციის კონკრეტული მიმართულებანი, რაც დაეფუძნა გთუნის ტრადიციებს, დაგროვილ გამოცდილებას, საქმიანობის ასპექტებს, ადამიანურ, მატერიალურ და ფინანსურ რესურსებს; აღნიშნულის გათვალისწინებით, შედგენილი და დამტკიცებულია გთუნის „საზოგადოებრივი აქტივობების გეგმა“, რომელშიც გაწერილია კონკრეტული მიმართულებები და ღონისძიებები, რითიც გთუნი გარკვეულ წვლილს შეიტანს საზოგადოების განვითარებაში. კერძოდ, ეს მიმართულებებია:

1. უწყვეტი განათლების პროექტები;
2. საექსპერტო და საკონსულტაციო პროექტები;
3. სოციალური პროექტები;
4. კულტურულ-შემეცნებითი, გარემოსდაცვითი და ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდის პროექტები;

კონტრიბუციის ამ კონკრეტული მიმართულებების რეალიზაციით გთუნი მიზნად ისახავს მოიპოვოს საზოგადოების ნდობა და დაიმკვიდროს საკუთარი ნიშა კონკურენტულ გარემოში.

არსებობის ცამეტი წლის განმავლობაში გთუნიმ დიდი ძალისხმევა გასწია და ჩამოაყალიბა საკუთარი ორგანიზაციული კულტურა, ერთგულ თანამშრომელთა მდგრადი გუნდი, გააუმჯობესა ინფრასტრუქტურა, რაც კიდევ უფრო მეტად გახდა სტუდენტზე ორიენტირებული და სხვა. თუმცა, აღნიშნულის მიუხედავად, გთუნი მიიჩნევს, რომ შემდგომი შვიდი წლის მანძილზე კიდევ უფრო მეტი ძალისხმევა უნდა გასწიოს ამ მიმართულებით.

ინსტიტუციური განვითარების ხარისხის გაუმჯობესების და საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის ზრდის მიღწევა შესაძლებელია შემდეგი ამოცანების განხორციელებით, კერძოდ:

სტრატეგიული მიზანი, ამოცანები და მათი შესრულების ინდიკატორები:

| | |
|--|---------------------|
| სტრატეგიული მიზანი 1. ინსტიტუციური განვითარების ხარისხის გაუმჯობესება და საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის ზრდა | |
| ამოცანები | ინდიკატორები |

| | | |
|----|--|--|
| 1. | მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსების განვითარება, საქმიანობის უწყვეტობისა და მდგრადობის უზრუნველყოფა | <ul style="list-style-type: none"> ▪ ბიზნესის უწყვეტობის გეგმა; ▪ გთუნის სტრუქტურა; ▪ სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის ანგარიშები; • წლიური ანგარიშები • ინვენტარიზაციის მასალები და უძრავი ქონების გამართულად მუშაობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია; • უსდ-ს ბიუჯეტი, დაფინანსების წყაროები; • ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის ფუნქციონირების შეფასების დოკუმენტი; • ბიბლიოთეკის რესურსებისა და სერვისების განვითარებისა და განახლების მექანიზმები; საქართველოს ბიბლიოთეკების ინტეგრირებულ საინფორმაციოქსელთან გაფორმებული ხელშეკრულებები; • ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა |
| 2. | მართვის ეფექტიანობის ამაღლება საერთაშორისო გამოცდილების და თანამედროვე ტექნოლოგიების მეტი ჩართვით მართვის პროცესში | <ul style="list-style-type: none"> ▪ მართვის ეფექტიანობის მონიტორინგის მექანიზმები და შეფასების სისტემა; ▪ ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის ანგარიში; ▪ სასწავლო პროცესების მართვის სამსახურის ანგარიში; ▪ ფაქტობრივი გარემოებები; |
| 3. | ეთიკური და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა | <ul style="list-style-type: none"> ▪ პლაგიატის პრევენციის, აღმოჩენისა და მასზე რეაგირების წესი; ▪ თანამშრომელთა ეთიკის კოდექსი; ▪ სტუდენტის ეთიკის კოდექსი; ▪ პანდემიური ნორმების დაცვის დამადასტურებელი დოკუმენტი; ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების აღმოჩენისა და წესრიგის დაცვის მექანიზმი; ▪ სამედიცინო სამსახურის ანგარიში; ▪ ეთიკისა და უსაფრთხო გარემოს კვლევის ანგარიში |
| 4. | საზოგადოების განვითარებაში წვლილის შეტანის ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერება | <ul style="list-style-type: none"> ▪ გთუნის პროფესიული განვითარების ცენტრის განსახორციელებელი ღონისძიებების გეგმა; ▪ უწყვეტი განათლების პროგრამების განხორციელების გეგმა; ▪ ვებ გვერდი; ▪ კომუნიკაციებისა და მარკეტინგის სამსახურის გეგმა; |

მოსალოდნელი შედეგები :

- პარტნიორთა კრების და უნივერსიტეტის მენეჯმენტის ეფექტიანი ურთიერთთანამშრომლობით გთუნი, გძელვადიან პერსპექტივაში, იქნება ფინანსურად, საკადრო თვალსაზრისით, ფიზიკური გარემოს ხარისხით მდგრადი და ამავე დროს, მუდმივ განვითარებაზე ორიენტირებული დაწესებულება;

- მივალწევთ დამატებითი შემოსავლების ზრდას.

რისკები/ბარიერები

- ეკონომიკური და სოციალური არასტაბილურობა;
- წარუმატებლობა დაფინანსების ალტერნატიული წყაროების მოზიდვაში.

სტრატეგიული მიზანი 2. პერსონალის მართვის და პროფესიული განვითარების სისტემის გაუმჯობესება

გთუნის პერსონალის მართვის პოლიტიკას განსაზღვრავს გთუნის მისია, ხედვა და გაცხადებული ღირებულებები, რომელთა საფუძველზე ჩამოყალიბებულია მართვის ეფექტიანობის სახელმძღვანელო პრინციპები, კერძოდ:

კომპეტენციებსა და დამსახურებაზე დაფუძნებული მიდგომა: რაც გულისხმობს, რომ თანამშრომელთა შერჩევა, მიღება, ანაზღაურება, დაწინაურება, წახალისება და სხვა, ხდება პირის პროფესიული კომპეტენციებისა და დამსახურების გათვალისწინებით;

მართვის ეთიკურობა: რაც გულისხმობს, რომ ორგანიზაციული გადაწყვეტილებები ეფუძნება დასაქმებულთა უფლებებსა და ღირსების პატივისცემას (ჯანმრთელ და უსაფრთხო სამუშაო გარემოს; სამართლიან ანაზღაურებას; თანამშრომელთა წახალისებას; ინდივიდთა პატივისცემას; საერთო მიზნისკენ მიმართულ საუნივერსიტეტო საზოგადოებას; მართვის მოქნილობას);

სამართლიანობა: რაც გულისხმობს მართვის ობიექტურობას, მიუკერძოებლობას და გამჭვირვალობას; ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვას და მისი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის პრინციპის პატივისცემას;

თანაბარი შესაძლებლობები: რაც გულისხმობს, რომ ყველა თანამშრომელს აქვს თანაბარი შესაძლებლობები გთუნის მიზნებისა და ამოცანების ჩამოყალიბების, მათი განხორციელებისა და შესრულებული სამუშაოს შეფასების პროცესში. ეს პრინციპი გამორიცხავს პირის დისკრიმინაციას ასაკის, სქესის, ეროვნული ან ეთნიკური კუთვნილების, რელიგიისა და სხვა ნიშნების მიხედვით;

მაღალი სტანდარტები: რაც გულისხმობს მართვის ეფექტიანი პოლიტიკის გატარებას სასწავლო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო და სამეცნიერო საქმიანობის სტანდარტების ამაღლების ხელშეწყობის მიზნით;

პროფესიული განვითარება: რაც გულისხმობს სასწავლო უნივერსიტეტის თანამშრომელთა პროფესიული ზრდის ყოველმხრივ ხელშეწყობას და ამ მიზნით აკადემიური და ადმინისტრაციული, ასევე დამხმარე პერსონალის წარმომადგენელთა ინდივიდუალური განვითარების მოთხოვნილებების გათვალისწინებას;

მონაწილეობა: რაც გულისხმობს, რომ უნივერსიტეტის ყველა თანამშრომელი უნდა იყოს ჩართული საუნივერსიტეტო საქმიანობის ძირითადი ამოცანების განხორციელების პროცესში.

პერსონალის პროფესიული განვითარების ეფექტური სისტემის არსებობა მართვის პოლიტიკის განუყოფელი ნაწილია. ამ სისტემის განვითარებით უნივერსიტეტი მუდმივად გააუმჯობესებს თავის საქმიანობას, მიაღწევს მაღალ სტანდარტს და მოახდენს ადაპტაციას ცვალებად საგანმანათლებლო გარემოში.

პროფესიული განვითარების პროექტები/პროგრამები შემუშავებულია როგორც უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების მიზნების შესაბამისად, ისე აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით.

აკადემიური პერსონალისთვის განკუთვნილი პროფესიული განვითარების პროგრამები მიზნად ისახავს პროფესიული კომპეტენციის ამაღლებას ისეთ საკითხებში, როგორცაა: დარგთან/დისციპლინათან დაკავშირებული ცოდნა, სიახლეები; სწავლის შედეგების მიღწევის და შეფასების სტრატეგიები; სწავლა- სწავლების მეთოდები; სწავლებისა და კვლევის პროცესში ახალი ტექნოლოგიების გამოყენება; ახალი კურიკულუმის შემუშავება; უცხოური ენის უნარების განვითარება და სხვა.

აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების მიზნის მიღწევა შესაძლებელია სხვადასხვა ღონისძიებების მეშვეობით, როგორც განსახვავებული ფინანსური და ადმინისტრაციული რესურსებით (როგორც დიდი დანახარჯებით, ისე მინიმალური დანახარჯებით და ამავე დროს მაღალი შედეგების მიღების უზრუნველყოფით).

ეს ღონისძიებებია:

ტრენინგები, ვორკშოფები, სემინარები: დარგთან/დისციპლინასთან დაკავშირებით; სწავლა-სწავლების და კვლევის მეთოდებთან დაკავშირებით; უცხოური ენისა და კომპიუტერულ უნარებთან დაკავშირებით);

აფილირებული აკადემიური პერსონალისთვის თვითგანვითარების ხელშეწყობა: გთუნი აფილირებული პერსონალის აძლევს 45 ანაზღაურებად დღეს (ე.წ. „აკადემიური შვებულება“, რომლითაც პერსონალი ისარგებლებს გთუნის გარეთ, თავის შეხედულებისამებრ განხორციელებული აქტივობებით, რომლებიც უკავშირდება პედაგოგიურ და სამეცნიერო თვითგანვითარებას. პერსონალი აღნიშნულ დღეებს გამოიყენებს ყოველკვირეულად ერთხელ, ან ერთდროულად სასწავლო წლის განმავლობაში. *შენიშვნა: აღნიშნული არ გულისხმობს კუთვნილ შვებულებას);

მენტორინგის პრაქტიკა: რომლის მიზანია ხელი შეუწყოს ახალგაზრდა კადრის პროფესიულ განვითარებას გამოცდილ კოლეგებთან ერთობლივი მუშაობის გზით. ამ ფარგლებში ხორციელდება სამუშაო შეხვედრები გამოცდილების გაზიარების მიზნით, სემინარები, ლექციებსა და პრაქტიკულ მეცადინეობებზე ურთიერთდასწრება, ინდივიდუალური მუშაობა ახალგაზრდა კადრებთან, კონსულტაციები/ხელმძღვანელობა სამეცნიერო ნაშრომის მომზადებისთვის და სხვა;

უნივერსიტეტებს შორის თანამშრომლობა: გთუნი გეგმავს პროფესიული განვითარების ერთობლივი პროგრამების შემუშავებას როგორც ეროვნულ, ისე რეგიონულ და საერთაშორისო დონეზე, ამ მიზნით: აკადემიური პერსონალის გაცვლით პროგრამებში ჩართვას, ცნობილი პროფესორების მოწვევას, ერთობლივი კონფერენციების ორგანიზებას და სხვა;

ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა: გთუნი გეგმავს მჭიდროდ ითანამშრომლოს ორგანიზაციებთან, რომელნიც გარკვეული პერიოდულობით უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებს სთავაზობენ პროფესიული განვითარების პროგრამებს.

გთუნი ზრუნავს ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის პროფესიული განვითარების ხელშეწყობაზე, რაც მიზნად ისახავს პრაქტიკული მენეჯმენტის, საზოგადოებასთან ურთიერთობის, შრომის უსაფრთხოების, ბიუჯეტის დაგეგმვის, კომუნიკაციის ტექნოლოგიების, უცხოური ენის, კომპიუტერული უნარების განვითარების და სხვა ღონისძიებებს.

პერსონალის მართვისა და პროფესიული განვითარების მიზნით გთუნის დაგეგმილი აქვს შემდეგი ამოცანების განხორციელება:

სტრატეგიული მიზანი, ამოცანები და ინდიკატორები

| სტრატეგიული მიზანი 2. პერსონალის მართვისა და პროფესიული განვითარების სისტემის გაუმჯობესება | |
|--|--|
| ამოცანები | ინდიკატორები |
| 1. პერსონალის მართვის არსებული პრაქტიკის გაუმჯობესება და ეფექტიანობის ამაღლება | <ul style="list-style-type: none"> ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა; აკადემიური და მოწვეული პერსონალის შერჩევის წესი; აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემა; პერსონალის საქმიანობის შეფასების შედეგები და მათი ანალიზი; |
| 2. აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის პროფესიული ცოდნის გაღრმავებისა და უნარ-ჩვევების სრულყოფის ხელშეწყობა; ახალგაზრდა კადრების პროფესიული განვითარება | <ul style="list-style-type: none"> პერსონალის პროფესიული განვითარების გეგმა; შედეგნილია; ადამიანური რესურსების მართვის ს პოლიტიკა; |
| 3. პერსონალის პროფესიული განვითარების ერთობლივი ღონისძიებებისთვის უნივერსიტეტებს, ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გაღრმავება | <ul style="list-style-type: none"> პერსონალის პროფესიული განვითარების გეგმა; პერსონალის საქმიანობის შეფასების შედეგები და მათი ანალიზი; |

მოსალოდნელი შედეგები :

- გაუმჯობესდება და გაცილებით ეფექტიანი გახდება პერსონალის მართვის არსებული პრაქტიკა;
- გაღრმავდება პერსონალის პროფესიული ცოდნა და არსებითად გაუმჯობესდება მათი კომპიუტერული თუ ენობრივი უნარები;
- მოხდება კადრების გაახალგაზრდავება;
- უფრო ეფექტიანი გახდება ადმინისტრაციული და დამხმარე სტრუქტურული ერთეულების საქმიანობა.

რისკები/ბარიერები

- პროფესიული განვითარების ღონისძიებებში მონაწილეობის დაბალი მოტივაცია.

სატრატეგიული მიზანი 3. აკადემიური საქმიანობისა და ინტერნაციონალიზაციის ხარისხის გაუმჯობესება

გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი თავის აკადემიურ დანიშნულებად მიიჩნევს საგანმანათლებლო საქმიანობის ხარისხის ზრდას და სასწავლო უნივერსიტეტისათვის რელევანტური სამეცნიერო აქტივობების განხორციელებას. ამ პროცესში დიდი მნიშვნელობა ენიჭება პასუხისმგებლობებზე დაფუძნებულ აკადემიურ თავისუფლებასა და ავტონომიურობას.

შემდგომი შვიდი წლის მანძილზე გთუნის სტრატეგიული განვითარების არსებითი მიზანია უზრუნველყოს სტუდენტი არა მხოლოდ მაღალი ხარისხის პროგრამებით, არამედ მიაღწიოს საგანმანათლებლო პროგრამების სრულ შესაბამისობას საერთაშორისო სტანდარტებთან.

2013 წელს გთუნის ყველა საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია, თუმცა შემდგომ წლებში პროგრამებზე მუშაობა და მათი გაუმჯობესება საუნივერსიტეტო საგანმანათლებლო საქმიანობის ქვაკუთხედს წარმოადგენდა, რაც აისახა 2018 წლის აკრედიტაციის შედეგებში, რომლის თანახმად გთუნის ყველა პროგრამა იქნა აკრედიტებული.

ამასთან, აკრედიტაციის პროცესმა და განახლებულმა სტანდარტებმა დაგვანახა, რომ საგანმანათლებლო პროგრამები კიდევ უფრო მეტად უნდა ითვალისწინებდეს დაინტერესებული მხარეების ინტერესებს, საერთაშორისო საუკეთესო გამოცდილებას და სწორედ ამ მიმართულებით

უნდა გაძლიერდეს ძალისხმევა. ამდენად, საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის განვითარება და სრულყოფა გთუნისთვის შეუქცევადი და პერმანენტული პროცესია.

მისიის განაცხადის თანახმად, გთუნი არ ახორციელებს სადოქტორო პროგრამებს და არ წარმოადგენს კვლევით ინსტიტუციას, მიუხედავად ამისა, **კვლევითი აქტივობების გაძლიერება** გთუნის და მისი დამფუძნელისათვის მნიშვნელოვან მიზანს წარმოადგენს. სამეცნიერო აქტივობების ეფექტიანობის ამაღლების მიმართულებით, ბოლო წლებში გთუნიმ გასწია მნიშვნელოვანი სამუშაოები: შეიმუშავა გთუნის კვლევითი საქმიანობის ორგანიზებისა და მართვის წესი, განსაზღვრა კვლევითი საქმიანობის სახეები, კვლევითი საქმიანობის დაგეგმვის მეთოდი; კვლევითი საქმიანობის სუბიექტები და მათი საშუალო დატვირთვა, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიშის წარდგენის წესი, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ეფექტიანობის შეფასების წესი, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების ინდიკატორები და კრიტერიუმები.

ყოველწლიურად ხდება აკადემიური პერსონალის სამეცნიერო საქმიანობის პროდუქტულობის შეფასება და სხვა.

გთუნი მტკიცედ მიიჩნევს, რომ მისი კვლევითი საქმიანობა, უპირველეს ყოვლისა, უნდა ემსახურებოდეს სტუდენტთა ინტერესებს და ამ პრინციპით განისაზღვროს კვლევის პრიორიტეტები.

აღნიშნულის გათვალისწინებით, 2015 წლიდან გთუნი თავისკვლევით საქმიანობას წარმართავს არა მხოლოდ პროფესორ-მასწავლებელთა ინდივიდუალურ აქტივობებსა და სამეცნიერო ინტერესებზე დაყრდნობით, არამედ **პროგრამებზე წლიური სამეცნიერო თემების დამუშავების პრინციპით**, რომელშიც ჩართულია აკადემიური პერსონალის ფართო შემადგენლობა და სტუდენტები. წლიური კვლევითი თემების პრიორიტეტები განისაზღვრება პროგრამის ხელმძღვანელის მიერ, იგეგმება გთუნის საგანმანათლებლო საქმიანობის ძირითადი მიმართულებების შესაბამისად და ემსახურება მათ განვითარებას, რადგან მიღებული შედეგები გამოიყენება საგანმანათლებლო პროცესში.

კვლევითი საქმიანობის ინტენსიფიკაციისა და მეტი მხარდაჭერის მიზნით გთუნიმ 2019 წლიდან დაიწყო მიზნობრივ სამეცნიერო-კვლევით პროექტებზე მუშაობა, რაც შიდა გრანტებით დაფინანსდება. ამ ახალი ინიციატივის წინაპირობას, სწორედ კვლევითი საქმიანობის ფინანსური თუ ადმინისტრაციული მხარდაჭერის ზემოთ აღნიშნული ინსტიტუციური ღონისძიებები და მათი შედეგები წარმოადგენს.

უნდა აღინიშნოს, რომ 2013-2018 წლების განმავლობაში, გთუნის სამეცნიერო საქმიანობის შეფასება ძირითადად ხორციელდებოდა:

ბიბლიომეტრული ინდიკატორის საფუძველზე (პროდუქტულობის შეფასება პუბლიკაციათა სახეები; რედაქტირებად, საერთაშორისო, იმპაქტ-ფაქტორის ჟურნალებში პუბლიკაციათა რაოდენობა; ციტირების ინდექსი; უცხოელ მეცნიერთან თანაავტორობა);

საკადრო ინდიკატორის საფუძველზე (სამეცნიერო ხარისხის მქონე პერსონალის რაოდენობა; აკადემიური პერსონალის სამეცნიერო საბჭოების და/ან სამეცნიერო პროფესიული გაერთიანებების წევრობა; აკადემიური პერსონალის მონაწილეობა კონფერენციებში/სიმპოზიუმებში, სემინარებში, ვორქშოფებში (მ.შ. საერთაშორისო) და სხვა ღონისძიებებში, მონაწილეობის ფორმა; აკადემიური პერსონალის მიერ მოპოვებული სამეცნიერო გრანტები; სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობა, ნაშრომების რაოდენობა; აკადემიური პერსონალის სარედაქტორო/სარეცენზიო საქმიანობა);

სამეცნიერო საქმიანობის ფინანსური და მატერიალურ-ტექნიკური ინდიკატორის საფუძველზე, რაც გულისხმობს სამეცნიერო პუბლიკაციებისთვის, კონფერენციების ორგანიზებისთვის და სხვა. გთუნის ფინანსურ და მატერიალურ წვლილს.

სამივე ინდიკატორი მართალია, რაოდენობრივია, თუმცა უდაოდ იძლევა საფუძველს და ინფორმაციას ხარისხობრივი შეფასებისთვისაც.

2019 წლიდან, სამეცნიერო საქმიანობის შეფასებისთვის გთუნი ზემოთ მოცემულ ინდიკატორებთან ერთად ეტაპობრივად დაიწყო ხარისხობრივი მონაცემების გამოყენება, როგორცაა: ნაშრომის რედაქტირება (Peer reviewed); ნაშრომის იდეა/შინაარსი/დასკვნები ორიგინალურობა; კვლევის საკითხის თანამედროვეობა და აქტუალურობა; ნაშრომის თანმიმდევრულობა, დასკვნების გადამოწმებულობა, ალოგიკურობის (non-sequitur) და პლაგიატის არ არსებობა; ნაშრომის ციტირების ინდექსი.

ინტერნაციონალიზაციის ხარისხის გაუმჯობესება

გთუნისთვის ინტერნაციონალიზაცია არის საქმიანობის უწყვეტი, განგრძობადი და კომპლექსური პროცესი, აგრეთვე საშუალება და მექანიზმი, რომლითაც საუნივერსიტეტო საქმიანობა დაუკავშირდება საერთაშორისო საგანმანათლებლო სისტემას; გაზრდის გთუნის კურსდამთავრებულებისა და აკადემიური პერსონალის კონკურენტუნარიანობას, ხელს შეუწყობს მათ წარმატებას და პროფესიულ განვითარებას.

გთუნი თავის საქმიანობას წარმართავს ბოლონიის პროცესის ინსტრუმენტებით (კვალიფიკაციათა ჩარჩო, სწავლის შედეგები, აღიარება, დიპლომის დანართი, ECTS, ESG და სხვა); გაატარა მრავალი ღონისძიება და შესამჩნევ პროგრესს მიაღწია, რაც აღწერილია მე-2 თავში, ამასთან მოწოდებულია

გააძლიეროს ძალისხმევა სასწავლო დაწესებულების მეტი ინტერნაციონალიზაციისთვის, რაც წარმოადგენს გთუნის განვითარების სტრატეგიის ერთ-ერთი მნიშვნელოვან ასპექტს.

ინტერნაციონალიზაციის განვითარების მიზნის მისაღწევად გთუნი განახორციელებს საქმიანობას ორი - აკადემიური და სამეცნიერო მიმართულებებით, რაც, ერთი მხრივ, განუყოფელი მიზანია, მეორე მხრივ, მოითხოვს განსხვავებულ მიდგომებს და განსახორციელებელ ამოცანებს.

აკადემიური მიმართულებით განსახორციელებელი მოკლევადიანი ამოცანებია:

- თანამშრომელთა მიერ უცხოური ენის შესწავლის ან /და უცხოურ ენაში კვალიფიკაციის ამაღლების ყოველმხრივი წახალისება და ხელშეწყობა;
- პარტნიორი უნივერსიტეტების საუკეთესო გამოცდილების გამოყენება სწავლებისა და სწავლის პროცესის ორგანიზებასა და მართვაში;
- აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა სწავლების თანამედროვე მეთოდების საერთაშორისო ტრენდებში;
- აკადემიური მობილობის ზრდის ხელშეწყობა;
- ქართულენოვან საგანმანათლებლო პროგრამებში ინგლისური ენის კომპონენტის გაზრდა;
- სილაბუსების ნაწილში ინგლისურენოვანი ლიტერატურის/რესურსების გათვალისწინებისა და აქტიური გამოყენების, სალექციო/სასემინარო მუშაობის გარკვეული ნაწილის ინგლისურ ენაზე ჩატარების, არჩევითი ინგლისურენოვანი კურსების შემოტანისა და პოპულარიზაციის, სასწავლო კურსის ფარგლებში ინგლისურენოვანი სასწავლო ღონისძიებების ჩატარების, საერთაშორისო სამეცნიერო ბაზების სასწავლო/კვლევით პროცესში აქტიურად გამოყენების კუთხით;
- 30 კრედიტიანი მოდულების მომზადება ერაზმუსის სტუდენტებისათვის სამართლის, ტურიზმის, ბიზნესის ადინისტრირების, ჟურნალისტიკის, ფსიქოლოგიის მიმართულებით; შემდგომ ეტაპად კი უცხოურენოვანი პროგრამების გაფართოება ზრუნვა.

აკადემიური მიმართულებით განსახორციელებელი გრძელვადიანი ამოცანებია:

- ზრუნვა ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების ეტაპობრივად მომზადებისა და განხორციელებისთვის;
- უცხოელი სპეციალისტების მეტი ჩართვის უზრუნველყოფა გთუნის სწავლა-სწავლების პროცესში;
- უცხოელი სტუდენტების მოზიდვის სტრატეგიის ბაზაზე და მათი მომსახურების ტაქტიკის შემუშავება;
- უცხოენოვანი კურსების, მოდულების, პროგრამების შექმნის შემდგომ, მათში გთუნის სტუდენტების ჩართვა და მათთვის დამატებითი შესაძლებლობების გაჩენა.

სამეცნიერო- კვლევითი მიმართულებით განსახორციელებელი მოკლევადიანი ამოცანებია:

- მეცნიერების თანამედროვე, საერთაშორისო მიღწევების, ტრენდების, ხედვების შესახებ ინფორმაციის გაზიარების ღონისძიებების სისტემატური გატარება;
- საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევითი თანამშრომლობის გაფართოება-გაღრმავება კვლევითი პროექტების ფარგლებში;
- საერთაშორისო კონფერენციებში, სტაჟირებებში, სემინარებში გთუნის აკადემიური პერსონალის მონაწილეების ხელშეწყობა;
- ერთობლივი კვლევითი პროექტების განხორციელებისთვის პარტნიორების მოძიებაზე ზრუნვა; **სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებით განსახორციელებელი გრძელვადიანი ამოცანებია:**
- უცხოელი, მკვლევარების, ექსპერტების მეტი ჩართვის უზრუნველყოფა გთუნის სამეცნიერო საქმიანობაში;
- ერთობლივი კვლევითი პროექტების განხორციელების ხელშეწყობა;
- სამეცნიერო პუბლიკაციების, ელექტრონული ჟურნალებისა და მონაცემთა ბაზების გაზრდა და მეტი ხელმისაწვდომობა;
- ციტირების ინდექსისა და იმპაქტ-ფაქტორის ჟურნალებში გამოქვეყნების მაჩვენებლების ზრდა.

შემდგომი შვიდი წლის მანძილზე გთუნი ეცდება, რომ ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა იქცეს საერთო საუნივერსიტეტო მსოფლმხედველობად და პროცესში რაც შეიძლება მეტი მონაწილე იყოს ჩართული

სტრატეგიული მიზანი, ამოცანები და მათი შესრულების ინდიკატორები

| სატრატეგიული მიზანი 3. სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისა და ინტერნაციონალიზაციის ხარისხის გაუმჯობესება | |
|--|---|
| ამოცანები (სასწავლო მიმართულებით) | ინდიკატორები |
| 3.1. საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის გაუმჯობესება საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად; წარმატებული გარე შეფასება- (აკრედიტაცია) | <ul style="list-style-type: none"> ▪ საგანმანათლებლო პროგრამები; ▪ პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განვითარებისა და გაუმჯობესების წესი ▪ მოდიფიცირებული პროგრამები; ▪ ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ანგარიშები; ▪ ფაკულტეტის ანგარიშები; ▪ |
| 3.2. პროგრამების დივერსიფიკაცია და ჰიბრიდული (შერეული) სწავლების კომპონენტის გაზრდა საგანმანათლებლო პროცესში | <ul style="list-style-type: none"> - ბაზრის კვლევის დოკუმენტი; - ბენჩმარკინგი; - ახალი პროგრამები - ჰიბრიდული სწავლების წესი; - ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ანგარიშები |
| ამოცანები | ინდიკატორები |
| 3.3. აკადემიური პერსონალის სამეცნიერო - კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერის პრაქტიკის გაუმჯობესება და სამეცნიერო ფონდებთან თანამშრომლობის გააქტიურება | <ul style="list-style-type: none"> ▪ ფაქტობრივი გარემოებები; უნივერსიტეტის ვებ გვერდი |
| 3.4. მიზნობრივ სამეცნიერო-კვლევით პროექტებზე მუშაობის დაშიდა გრანტის მოპოვების პრაქტიკის დანერგვა და განხორციელება | <ul style="list-style-type: none"> ▪ კვლევს ცენტრის ანგარიში |
| 3.5. საერთაშორისო გრანტების მოპოვებაზე მუშაობა | <ul style="list-style-type: none"> ▪ საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის ანგარიში |
| 3.6. ქართულენოვან საგანმანათლებლო პროგრამებში ინგლისური ენის კომპონენტის გაზრდა და უცხოურენოვანი კურსების, მოდულების მომზადება; უნივერსიტეტის საქმიანობაში ჩართვის მიზნით, უცხოელი სპეციალისტების მოზიდვა. | <ul style="list-style-type: none"> ▪ პროგრამები ▪ ადამიანური რესურსების |

| | | |
|------|---|--|
| 3.7. | უცხოური ენის სწავლა-სწავლებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ღონისძიებების ხარისხის გაუმჯობესება | <ul style="list-style-type: none"> პროფესიული განვითარების ცენტრის ანგარიში |
| 3.8. | საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევითი კავშირების განვითარება და ერთობლივი კვლევების შესაძლებლობების შექმნა.; აკადემიური პერსონალის და სტუდენტის ჩართულობის მხარდაჭერა საერთაშორისო სამეცნიერო პროექტებში/ღონისძიებებში | <ul style="list-style-type: none"> საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის ანგარიში; კვლევების ხელშეწყობის სამსახურის ანგარიში |

მოსალოდნელი შედეგები :

- სტუდენტებს შევთავაზებთ მაღალი სტანდარტის, საერთაშორისო საგანმანათლებლო მოთხოვნების ადეკვატურ, შედეგზე და ცვლად მოთხოვნებზე ორიენტირებულ საგანმანათლებლო მომსახურებას;
- შევძლებთ სტუდენტის აკადემიური მიღწევების ხარისხის და შესაბამისად, სტუდენტთა დასაქმების მაჩვენებლის მნიშვნელოვან ზრდას;
- მოვიპოვებთ ზრდასრულთა განათლების ავტორიტეტული დაწესებულების სახელს, წარმატებით განვახორციელებთ შესაბამის პროგრამებს და წვლილს შევიტანთ საზოგადოების განვითარებაში;
- ამაღლდება გთუნის სამეცნიერო საქმიანობის ხარისხი სამართლის, ბიზნესის ადმინისტრირების და სოციალური მეცნიერებების მიმართულებით;
- გავზრდით გთუნის სამეცნიერო პოტენციალის ეროვნულ და საერთაშორისო ცნობადობას;
- გაიზრდება საერთაშორისო საუნივერსიტეტო სივრცეში გთუნის ცნობადობა და ავტორიტეტი;
- გაიზრდება საერთაშორისო პროექტებში გთუნის მონაწილეობა და სულ უფრო მეტი სტუდენტი და პროფესორი ისარგებლებს მობილობით;
- შევექმნით უცხოენოვან პროგრამებს, რაც საშუალებას მოგვცემს მოვიზიდოთ უცხოელი სტუდენტები და საუნივერსიტეტო გარემო მეტად ინტერნაციონალური გავხადოთ;
- გაიზრდება შემოსავლები.

რისკები/ზარიერები

- უმაღლეს განათლებაზე მოთხოვნის კლება პროფესიული განათლების სასარგებლოდ;
- სახელმწიფო საგანმანათლებლო პოლიტიკის შეცვლა მცირე კონტინგენტთან კერძო უმაღლესი სასწავლებლების მიმართ;
- სტუდენტთა დაბალი მოტივაცია, და ნეგატიური რეაგირება აკადემიური მიღწევების ხარისხის ზრდის ღონისძიებებზე, შეფასების რთული სისტემა;
- სამუშაო ადგილების სიმცირე;
- “სწავლა მთელი ცხოვრების განმავლობაში -LLL” მიმართ, სკეპტიკური დამოკიდებულება;

- საერთაშორისო ჟურნალებში გამოქვეყნების მაღალი ხარჯები;
- პოლიტიკური არასტაბილურობა რეგიონში;
- უცხო ენების ცოდნის არასათანადო დონე სტუდენტებსა და პროფესორებს შორის.

სტრატეგიული მიზანი 4. სტუდენტის წარმატებასა და წინსვლაზე ორიენტირებული მხარდაჭერის სისტემის განვითარება

სტუდენტთა უფლებების დაცვა, აქტიური სტუდენტური ცხოვრება და მისი გამრავალფეროვნება, მხარდაჭერის ღონისძიებების სისტემის ჩამოყალიბება, რაც მიმართული იქნება სტუდენტთა წარმატებასა და წინსვლაზე გთუნის საქმიანობის უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია. სტუდენტთა მხარდაჭერისა და საკონსულტაციო მომსახურებისათვის გთუნში შექმნილია „სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ურთიერთობისა და კარიერული მხარდაჭერის სამსახური“ და შემუშავებულია აკადემიური პროგრამების კონსულტაციის (ტუტორიალის) განხორციელების წესი. გთუნი ახორციელებს სტუდენტის მხარდაჭერის მრავალფეროვან ღონისძიებებს, როგორცაა:

ფინანსური მხარდაჭერა, რაც გულისხმობს სწავლის საფასურის გადახდის მოქნილ სისტემას და ფინანსურ შეღავათებს გარკვეული კატეგორიის სტუდენტებისთვის, კერძოდ ეს კატეგორიებია:

- აბიტურიენტები, რომლებიც ერთიან ეროვნულ გამოცდებზე პირველ - მეორე პრიორიტეტს მიანიჭებენ და ჩაირიცხებიან გთუნ-ში, ისარგებლებენ 10 %-იანი თანადაფინანსებით უნივერსიტეტის შიდა ე.წ. ერთგულების ბონუსით, ერთი წლის განმავლობაში;
- უნივერსიტეტში ჩარიცხული სტუდენტები, რომლებმაც სკოლა დაამთავრეს წარჩინებით, ერთი სემესტრის განმავლობაში მიიღებენ სტიპენდიას: ოქროს მედალოსნები-100 ლარის ოდენობით; ვერცხლის მედალოსნები- 80 ლარის ოდენობით;
- სტუდენტები, რომლებიც ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მიიღებენ სახელმწიფო გრანტს ისარგებლებენ შიდა დაფინანსებით: (50% სახელმწიფო გრანტის შემთხვევაში-თანადაფინანსება დარჩენილი თანხის 50 %-ით; 70 % სახელმწიფო გრანტის შემთხვევაში - თანადაფინანსება დარჩენილი თანხის 30 %-ით; 100% სახელმწიფო გრანტის შემთხვევაში, სტუდენტები ერთი სემესტრის განმავლობაში მიიღებენ სტიპენდიას 100 ლარის ოდენობით;
- სტუდენტები, რომლებიც სამი წლის განმავლობაში წარჩინებით დაასრულებენ სწავლას და იქნებიან სტიპენდიანტები, მეოთხე წელს გათავისუფლდებიან სწავლის საფასურის გადახდისაგან;

- გთუნში ერთდროულად სწავლის შემთხვევაში და-მმანი ისარგებლებენ თითოეულზე 10 %-იანი თანადაფინანსებით;
- საქართველოს სახელმწიფო შემოქმედებითი კოლექტივებისა და ეროვნული სპორტული ნაკრების წევრები, ერთი სასწავლო წლის განმავლობაში ისარგებლებენ 20%-იანი თანადაფინანსებით;
- ერთი და იგივე სკოლიდან ჩარიცხულები, უნივერსიტეტში ერთდროულად სწავლის პერიოდში, ისარგებლებენ შეღავათით და თითოეულს სწავლის საფასური შეუმცირდებათ 2000 ლარამდე;
- უმაღლესი შეფასების მქონე სტუდენტებს დაენიშნებათ ყოველთვიური სტიპენდია, სემესტრის შედეგების გათვალისწინებით ერთი სემესტრის განმავლობაში.

სახელობითი და ჩვეულებრივი სტიპენდიების მინიჭება, ყოველწლიურად, თითოეული ფაკულტეტის 4 წარჩინებულ სტუდენტს, ღიად, საჯაროდ და გამჭვირვალედ, სამართლიანობის პრინციპის დაცვით ენიჭება სახელობითი ან ჩვეულებრივი სტიპენდია.

სტუდენტთა აკადემიური მხარდაჭერა და საკონსულტაციო მომსახურება რაც გულისხმობს: სტუდენტის მართებულად ორიენტირებას საგანმანათლებლო პროგრამაზე; სწავლის პროცესის დაგეგმვის, წარმართვისა და განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებებს; სტუდენტთა აკადემიური რეგისტრაციის პროცესის ხელშეწყობას; მობილობით გადმოსულ სტუდენტთა დახმარებას; სამეცნიერო და შემოქმედებით მუშაობაში სტუდენტთა აქტიურ ჩაბმას; საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების შესახებ სტუდენტთა ინფორმირებას, მათში მონაწილეობის, დოკუმენტაციის მომზადების ხელშეწყობას და საუნივერსიტეტო ცხოვრების სხვა ასპექტებთან დაკავშირებით სტუდენტის ინფორმირებას, ახსნა-განმარტების მიცემას და დახმარებას; აღნიშნული მიზნებისათვის სხვა მიზნით შექმნილია აკადემიური პროგრამების კონსულტანტების (ტუტორების) ჯგუფი, რომელნიც თავის საქმიანობას ახორციელებენ გთუნის სტრუქტურებთან მჭიდრო თანამშრომლობით.

სტუდენტურ ცხოვრებაში ჩართვა, პროფესიული და კარიერული განვითარების მხარდაჭერა: ამ მიზნით გთუნში ფუნქციონირებს „სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ურთიერთობისა და კარიერული განვითარების სამსახური“, რომელიც თავის ფუნქციებს ახორციელებს ფაკულტეტებთან და სტრუქტურულ ერთეულებთან მჭიდრო თანამშრომლობით. რაც გულისხმობს:

- სტუდენტური ცხოვრების სხვადასხვა ასპექტში სტუდენტთა ჩართვას;
- კულტურული, შემეცნებითი, სპორტული, საქველმოქმედო საქმიანობის პოპულარიზაციას, ორგანიზებას და განხორციელებას; სუნივერსიტეტო სპორტული გუნდების, მუსიკალური ანსამბლებისა და შემოქმედებითი ჯგუფების შესახებ სტუდენტთა ინიციატივების წარდგენას, მათი რეალიზაციის ხელშეწყობას და საქმიანობის კოორდინაციას;
- კონკურსების, პროექტების, პროგრამების შესახებ ინფორმაციის მოპოვებას და სტუდენტებს შორის გავრცელებას;

- სტუდენტების დასაქმების ხელშეწყობის მიზნით მათ ინფორმირებას დასაქმების ბაზარზე არსებული მდგომარეობის, გამოცხადებული ვაკანსიების, დასაქმების ფორუმების, გამოფენების და სხვა ღონისძიებების შესახებ;
- სტუდენტთა დახმარებას საკუთარი განათლებისა და კარიერის სწორად წარმართვასა და დამსაქმებლებთან ურთიერთობაში;
- ფაკულტეტებთან მჭიდრო თანამშრომლობით სტუდენტთა გამოკითხვების ორგანიზებას, მათი მოლოდინების, პრობლემების, წინადადებების, მოსაზრებების ანალიზის მიზნით. ანალიზის შედეგების ხელმძღვანელებთან წარდგენას შემდგომი რეაგირებისათვის;
- უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესების, ღონისძიებებისა და სიახლეების შესახებ კურსდამთავრებულთა ინფორმირება მათი საუნივერსიტეტო ცხოვრებაში აქტიური ჩართვის მიზნით. კურსდამთავრებულთა და სტუდენტთა სხვადასხვა თემატური შეხვედრების ორგანიზება; კურსდამთავრებულთა ასოციაციასთან საქმიანობის კოორდინირებას.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმით სარგებლობის შესაძლებლობა შეზღუდული შესაძლებლობების და სპეციალური საჭიროებების მქონე სტუდენტთა მიზნობრივი ჯგუფებისთვის.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმით სარგებლობის შესაძლებლობა უნივერსიტეტში მობილობით გადმოსულ, სტატუსს აღდგენილ, განსაკუთრებული ნიჭით გამორჩეულ ან/და დაბალი აკადემიური მოსწრების, სპორტსმენ სტუდენტთა მიზნობრივი ჯგუფებისთვის.

ფასდაკლებები მოწყვლადი ჯგუფის სტუდენტთა მხარდაჭერის მიზნით (ამ ჯგუფს მიეკუთვნებიან სოციალურად დაუცველი პირები; ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლები; შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები; იძულებით გადაადგილებულ პირები; ქართული ეთნიკური წარმოშობის (ლაზები, დეპორტირებული მესხები, ფერეიდნელი ქართველები და სხვა) უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე, რომლებიც თავს მიიჩნევენ ქართული ეთნიკური წარმოშობის მქონეთ და აქვთ ქართული გვარი ან ქართული ლინგვისტური იდენტობა; ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ პირები; მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრებ პირები; მრავალშვილიანი ოჯახების წევრები; ტერიტორიული მთლიანობის დაცვისთვის დაღუპულ პირთა შვილები/ოჯახის წევრები).

შშმპ მომსახურება: გთუნი უზრუნველყოფს ინკლუზიური განათლების ფარგლებში შშმ სტუდენტთა საჭიროების შესაბამის ადაპტირებულ გარემოს. ამასთან, გთუნი-ს სტუდენტები ინფორმირებულნი არიან, რომ თუ შშმ პირებს, მათთვის სპეციალურად მოწყობილი პანდუსებისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურული უზრუნველყოფის მიუხედავად, მაინც დასჭირდებათ დახმარება, დაუყოვნებლივ აცნობონ აღნიშნულის შესახებ დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის ნებისმიერ თანამშრომელს.

სტუდენტური ინიციატივებისა და პროექტების მხარდაჭერა: გთუნი ყოველმხრივ ახალისებს და ხელს უწყობს საგანმანათლებლო, კვლევით, შემოქმედებითი, სპორტული, საქველმოქმედო, საექსკურსიო-შემეცნებითი და საზოგადოებრივად სასარგებლო სტუდენტური ინიციატივების განხორციელებას, რომელნიც შეესაბამება სასწავლო უნივერსიტეტის მიზნებსა და საქმიანობის სფეროს.

სტუდენტთა არაფორმალური განათლების მხარდაჭერა: სტუდენტთა პროფესიული ზრდის, პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებისა და განვითარების მიზნებისათვის გთუნიში შექმნილია “ტრენინგისა და კონსალტინგის ცენტრი GT TCC”; ცენტრის ინიციატივით ადგილობრივი თუ საზღვარგარეთიდან მოწვეული სპეციალისტების მიერ ტარდება მათერ-კლასები, ტრენინგები, ვორქშოფები, სემინარები; ინფორმაცია მათერ-კლასების, ტრენინგების, ვორქშოფების თაობაზე ღია და საჯაროა, რომელზე დასწრება შეუძლია ნებისმიერ მოტივირებულ სტუდენტს (გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც აღნიშნული ღონისძიებების სამუშაო ენაა-ინგლისური და სტუდენტს მოეთხოვება ენის ცოდნა).

ერთიანი სამაგისტრო გამოცდებისთვის სტუდენტთა მოსამზადებელი კურსის ორგანიზება: უნივერსიტეტი მაგისტრატურაში სწავლის გაგრძელების მსურველ სტუდენტებს სთავაზობს საერთო სამაგისტრო გამოცდებისთვის მოსამზადებელ კურსს. მეცადინეობები ტარდება კვირაში 2-ჯერ 1,5 საათის ხანგრძლივობით, 3 თვის განმავლობაში. ჯგუფში სტუდენტების რაოდენობა განისაზღვრება არაუმეტეს 10 მონაწილით. გთუნის სტუდენტებისათვის კურსი ფინანსდება სასწავლო უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან.

სტუდენტთა მათერიალურ-ტექნიკური სერვისებით უზრუნველყოფა: გთუნი უზრუნველყოფს სტუდენტთა მომსახურებას ბიბლიოთეკით, სხვადასხვა მათერიალურ-ტექნიკური საშუალებებით (ქსეროქსი, WiFi, კომპიუტერული კლასები და სხვა), პირველადი სამედიცინო მომსახურებით, ტრანსპორტით უფასო მომსახურებით, უსაფრთხოების დაცვით და სხვა.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, გთუნი გეგმავს შემდგომი შვიდი წლის მანძილზე კიდევ უფრო გაამრავალფეროვნოს სტუდენტური სერვისები, აქტიურად დაიცვას მათი უფლებები და თავისუფლებები, რისთვისაც გეგმავს სტუდენტთა ომბუდსმენის პოზიციის შემოღებას.

სტრატეგიული მიზანი, ამოცანები და შესრულების ინდიკატორები:

| სტრატეგიული მიზანი 4. | | |
|---|--|--|
| სტუდენტის წარმატებაზე და წინსვლაზე ორიენტირებული მხარდაჭერის მექანიზმების განვითარება | | |
| N | ამოცანები | ინდიკატორები |
| 4.1 | სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის უზრუნველყოფა | <ul style="list-style-type: none"> სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის ანგარიში |
| 4.2 | სტუდენტთა დასაქმებისა და კარიერული წინსვლის ადმინისტრაციულ-ფინანსური მხარდაჭერა | <ul style="list-style-type: none"> კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის და კარიერული მხარდაჭერის სამსახურის ანგარიში ფაკულტეტების სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა |
| 4.3 | სტუდენტთა (მოწყვლადი ჯგუფებისა და სხვა კატეგორიის) მხარდაჭერის მექანიზმების უზრუნველყოფა და ფინანსური შეღავათების ამოქმედება | <ul style="list-style-type: none"> ფინანსური მხარდაჭერის დაგეგმილი და შესრულებული ღონისძიებები; შშპ პირთათვის შექმნილია ადაპტირებული გარემო; შემუშავებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის მეთოდოლოგია და შშმპ მომსახურების წესი; სტუდენტთა მოწყვლადი ჯგუფებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმები; მხარდაჭერის დაგეგმილი ღონისძიებები განხორციელებულია. |
| 4.4 | სტუდენტთა საერთაშორისო, სპორტული, საქველმოქმედო და სხვა კურიკულუმს გარე აქტივობების/პროექტების ადმინისტრაციულ-ფინანსური მხარდაჭერა და მეტი ინტერნაციონალიზაცია | <ul style="list-style-type: none"> სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის სამსახურის ანგარიში ფაკულტეტის ანგარიში პროფესიული განვითარების ცენტრის სამოქმედო გეგმა საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის სამოქმედო გეგმა; სტუდენტთა თვითმმართველობის გეგმა |

მოსალოდნელი შედეგები:

- წარმატების მისაღწევად სტუდენტთა მოტივაციის გაზრდა;
- სტუდენტთა დასაქმების მაჩვენებლის ზრდა;
- საუნივერსიტეტო გარემო უფრო მეტად იქნება სტუდენტზე და მის საჭიროებებზე ორიენტირებული;

- ხელს შევუწყობთ სპეციალური საჭიროებების სტუდენტთა ინტერესების დაცვასა და დაკმაყოფილებას;
- გაიზრდება საერთაშორისო პროექტებში გთუნის მონაწილეობა და სულ უფრო მეტი სტუდენტი ისარგებლებს მობილობით.

რისკები

- აღნიშნული ღონისძიებები რისკებს არ შეიცავს

8. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგი

სტრატეგიული დაგეგმვის ციკლის მნიშვნელოვანი ეტაპია სამოქმედო გეგმის შესრულების ყოველწლიური მონიტორინგი და შეფასება, რომლის შედეგები იძლევა საქმიანობის გაუმჯობესების შესაძლებლობებს. მონიტორინგი და შეფასება მართვის განუყოფელი ნაწილია, რაც უზრუნველყოფს სასარგებლო ინფორმაციის მოპოვებას გეგმების ეფექტიანობის და ზოგადად, უნივერსიტეტის საქმიანობის შესახებ; სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება გთუნის მიერ შემუშავებული დოკუმენტით: „სტრატეგიული განვითარების გეგმის და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი და შეფასება“ განსაზღვრული პროცედურებისა და მეთოდების თანახმად. მონიტორინგსა და შეფასებას ყოველწლიურად ახორციელებს მონიტორინგისა და შეფასების ჯგუფი (დროებითი სამუშაო ერთეული), რომლის მიერ შემუშავებული დასკვნები გადაეცემა აკადემიურ საბჭოს რეაგირებისათვის.

მონიტორინგის ეტაპები: გთუნში მონიტორინგის განხორციელება მოიცავს ხუთ ეტაპს, ესენია:

- ინფორმაციის შეგროვება: ამ ეტაპზე მონიტორინგის ჯგუფის მიერ გროვდება სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის ინდიკატორის ველში მითითებული მონაცემები ან დოკუმენტები;
- ინფორმაციის მომზადება ანალიზისთვის: ამ ეტაპზე ხდება ინფორმაციის სისტემატიზება, სტრუქტურირება;
- ინფორმაციის ანალიზი: ამ ეტაპზე ხდება მონაცემების ანალიზი შესრულების ინდიკატორთან მიმართებაში;
- დასკვნების და რეკომენდაციების შემუშავება, ანგარიშის მომზადება;
- უკუკავშირი/რეაგირება შეფასების შედეგებზე: ანალიზის შედეგები გვაჩვენებს სტრატეგიული მიზნების მიღწევის და ამოცანების განხორციელების მდგომარეობას; პრობლემების და მათი, გამომწვევი მიზეზების გამოვლენის შემთხვევაში, აუცილებელია ამოცანების, შესრულების მექანიზმების, ვადების, რესურსების ან პასუხისმგებლობის კორექტირება, პრობლემის არსიდან გამომდინარე.

ინფორმაციის შეგროვების ფორმატი და მეთოდები : გთუნში მონიტორინგისა და შეფასების მიზნებისთვის ხდება ინფორმაციის შეგროვება, რაც ხორციელდება განსაზღვრული ფორმატის და მეთოდების გამოყენებით. ქვემოთ მოცემული ფორმატისა და მეთოდებიდან შეირჩევა ის მეთოდები, რომელიც ჩაითვლება ეფექტურად კონკრეტული კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, კერძოდ:

მონაცემების შეგროვების ფორმატი შეიძლება იყოს **ფორმალური და არაფორმალური**.

- ფორმალური ფორმატი ძირითადად გულისხმობს წერითი ფორმით ინფორმაციის შეგროვებას (ანგარიშები, დოკუმენტები, სტატისტიკური ინფორმაცია, ოქმები, ანკეტირება და ა.შ.);
- არაფორმალური ფორმატი გულისხმობს ინფორმაციის შეგროვებას ზეპირი კომუნიკაციის გზით უშუალო გარემოში;

მონაცემთა შეგროვების მეთოდებად შეიძლება გამოყენებულ იქნეს:

- ინტერვიუ: ჯგუფური ან ინდივიდუალური, ფორმატი არაფორმალურია;
- ანკეტირება: ფორმატი ფორმალურია;
- ფოკუს-ჯგუფები: გულისხმობს ერთი სეგმენტის ფარგლებში პირთა შეზღუდული ჯგუფის მოსაზრების გაგებას გარკვეული საკითხების ირგვლივ მოდერატორის ხელმძღვანელობით. ფორმატი არაფორმალურია.

მონიტორინგისა და შეფასების ჩარჩო: მონიტორინგის და შეფასების პროცესის მართებულად წარმართვისათვის იქმნება მონიტორინგის ჩარჩო, რომელშიც გათვალისწინებულია თითოეული სტრატეგიული მიზნის ფარგლებში დაგეგმილი ამოცანებისთვის განსაზღვრული შედეგი/ინდიკატორი, კონკრეტული ვადები, რის შესაბამისადაც შესაბამისად, განისაზღვრა მონიტორინგისა და შეფასების სტრუქტურა.

საერთაშორისო ორგანიზაციების გამოცდილების გათვალისწინებით,¹ კონკრეტული ღონისძიების შესრულების პროცესი მონიტორინგის ჩარჩოს ფარგლებში შეფასდება მონიტორინგის ჯგუფის მიერ შემდეგი ოთხი კრიტერიუმით/რეიტინგით:

1. **სრულად შესრულდა** - სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიება სრულად შესრულებულია;
2. **უმეტესად შესრულდა** - სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიების ნახევარზე მეტი სრულად შესრულდა და მხოლოდ მცირე ნაწილი დარჩა შესასრულებელი;
3. **ნაწილობრივ შესრულდა** - სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიების ნახევარზე ნაკლები შესრულდა და უმეტესი ნაწილი დარჩა შესასრულებელი;
4. **არ შესრულდა** - სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიება არ არის შესრულებული.

რაც შეეხება თითოეული ღონისძიების განხორციელების პროცესს, ის გაიზომება შემდეგი ხუთი კრიტერიუმით/სტატუსით:

- განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა - სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიების შესრულების პროცესი ჯერ არ დაწყებულა;
- განხორციელების პროცესი მიმდინარეობს - სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიების შესრულების პროცესი მიმდინარეობს; -

¹ ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (OECD), [Work Programme for 2013-2015](#), გვ. 21.

- განხორციელების პროცესი შეჩერებულია - სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიების შესრულების პროცესი შეჩერებულია;
- განხორციელების პროცესი შეწყვეტილია - სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიების შესრულების პროცესი შეწყვეტილია.

ანგარიშის წარდგენა: წელიწადში ერთხელ, კალენდარული წლის ბოლოს, სტრუქტურული ერთეულები მონიტორინგის ჯგუფს წარუდგენენ ანგარიშს სტრატეგიული განვითარებისა და შესაბამისი სამოქმედო გეგმის იმპლემენტაციის შესახებ შესრულების ძირითადი ინდიკატორების მიხედვით. მონიტორინგის ჯგუფი თავის მხრივ, სტრატეგიული ანგარიშის შეფასების შედეგებს და მისგან გამომდინარე რეკომენდაციებს წარუდგენს მმართველსაბჭოს, რომელიც საჭიროების შემთხვევაში ახდენს შესაბამის რეაგირებას.

უკუკავშირი: მონიტორინგისა და შეფასების ბოლო ეტაპია უკუკავშირი, რაც ნიშნავს შეფასების შედეგების (დასკვნებისა და რეკომენდაციების) განხილვას დაინტერესებულ პირებთან; შეფასებას შეიძლება შედეგად მოყვეს:

1. სტრატეგიული გეგმის კორექტირება;
2. არსებული დაბრკოლებების აღმოფხვრა;
3. მიღებული დასკვნების გათვალისწინება;
4. ახალი სტრატეგიული გეგმის შემუშავება.

გეგმის კორექტირება/ ცვლილებების განხორციელება: სტრატეგიული განვითარების გეგმასა და სამოქმედო გეგმებში ცვლილებების განხორციელება გარდა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნებისა და რეკომენდაციებისა, შესაძლებელია რექტორის ინიცირებით, აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე.

9. გეგმის განხორციელების ფინანსური უზრუნველყოფა

განვითარების შვიდწლიანი სტატეგიული გეგმით განსაზღვრული მიზნებისა და ამოცანების განხორციელებისათვის გთუნიმ დაადგინა გეგმის შესრულებისათვის აუცილებელი ქვემოთ მოცემული ხარჯების სავარაუდო რაოდენობა 2019-2022 წლებისთვის.

სტრატეგიული მიზნების შესრულებისთვის ბიუჯეტიდან გამოყოფილი ხარჯები:

2019-2022 წწ.

| N | სტრატეგიული მიზნები | 2019 | 2020 (კორექტ) | 2021 (კორექტ) | 2022 |
|-----------|---|-----------|------------------|------------------|-----------|
| მიზანი 1. | ინსტიტუციური განვითარების ხარისხის გაუმჯობესება და საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის ზრდა | 457 700 | 316 000 | 386 000 | 395 000 |
| მიზანი 2. | პერსონალის მართვისა და პროფესიული განვითარების სისტემის გაუმჯობესება | 1 516 000 | 1 516 000 | 1 636 000 | 1 665 000 |
| მიზანი 3. | აკადემიური(სასწავლო-სამეცნიერო) საქმიანობისა და ინტერნაციონალიზაციის ხარისხის გაუმჯობესება | 27000 | 109 500 | 299 500 | 315 000 |
| მიზანი 4. | სტუდენტის წარმატებაზე და წინსვლაზე ორიენტირებული მხარდაჭერის მექანიზმების განვითარება | 14 000 | 30 000 | 50 600 | 65 000 |
| სულ | ხარჯები | 2 014 700 | 1 971 500 | 2 372 100 | 2 440 000 |

გამოყენებული წყაროები

1. განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია. 2017-2021
2. 2022-2030 წლების განათლებისა და მეცნიერების ერთიანი ეროვნული სტრატეგია;
3. სამთავრობოპროგრამა 2021-2024 “ევროპული სახელმწიფოს მშენებლობისათვის”
4. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის სტრატეგიის დოკუმენტი. 2016- 2020
5. როგორ შევქმნათ სტრატეგიული გეგმა? Partners Poland Foundation. 2014
6. საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ. 2004
7. საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმება. 2014
8. საქართველოს კანონი განათლების ხარისხის განვითარების შესახებ. 2016
9. საქართველოს კანონი ინოვაციების შესახებ. 2016
10. საქართველოს სოციალური და ეკონომიკური განვითარების სტრატეგია „საქართველო 2020“. 2014
11. საქართველოს კანონი მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შესახებ. 2016
12. საქართველოს კანონი გრანტების შესახებ. 1996
13. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანება “ განახლებული ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო და სწავლის სფეროების კლასიფიკატორი”.
14. საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ. 2017
15. სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის სტრატეგიის დოკუმენტი 2021-2025 წლები
16. სტუდენტთა სახელმწიფო სასწავლო გრანტებით დაფინანსების სისტემა - “პრიორიტეტული საგანმანათლებლო პროგრამული მიმართულებების დაფინანსება” 2011;
17. ქვეყნის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2022-2025 წლებისათვის სამთავრობო პროგრამა 2021 – 2024 „ევროპული სახელმწიფოს მშენებლობისთვის“
18. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაცია. სახელმძღვანელო. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი. 2018
19. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების შეფასების სახელმძღვანელო. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი. 2019
20. უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპები (ESG). 2015
21. უნივერსიტეტის მართვის სახელმძღვანელო. დ.ნარინდოშვილი და სხვ. 2006

22. ხარისხის შიდა მართვა კომპეტენციებზე დაფუძნებულ უმაღლეს განათლებაში (IQM-HE) ,2016
23. ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული სტანდარტები. 2005
24. A Practical Guide to Strategic Enrollment Management Planning in Higher Education. By R.B. Wilkinson James S. Taylor, Angé Peterson. 2007 [www.educationalpolicy.org/pdf/SEM%20 Guide.pdf](http://www.educationalpolicy.org/pdf/SEM%20Guide.pdf)
25. A Practical Guide to Strategic Planning in Higher Education. Karen E. Hinton .2012. www.scup.org
26. Definitions of Quality in Higher Education: A Synthesis of the Literature Laura Schindler a, *, Sarah Puls-Elvidge a, Heather Welzant a, and Linda Crawford a a Academic Quality and Accreditation, Laureate Education, Inc., USA Submitted: May 1, 2015 | Peer-reviewed: August 11, 2015 | Editor reviewed: 8/30/2013 Accepted: September 7, 2015 | Published: September 30, 2015
27. Globalisation and Internationalisation of Higher Education. Monograph. Hans de Wit, 2011. RUSC vol.8no2. Universitat Oberta de Catalunya. Barcelona, 2011. www.raco.cat/index.php/RUSC/article/.
28. Dimensions of quality in higher education. Some insights into quality –based performance measurement. Ioana Maria Diana ȘANDRU qualitraining2.ecml.at/LinkClick.aspx?fileticket...
29. [Peter Scott. Universities are all 'internationalising' now. Education. The Guardian.](http://www.theguardian.com) <https://www.theguardian.com> › ... › International students. 2011
30. Strategic Planning in Higher Education – Best Practices and Benchmarking. Hanover Research | July 2013. www.hanoverresearch.com/.../Strategic-Planning-in-Hig
31. Strategic Plan Framework and Template Prepared for Southern University and A&M College March 2014. www.subr.edu/.../StrategicInitiatives/.../StrategicPlanFrameworkandTemplate-Souther
32. The Higher Education Business Model. Innovation and Financial Sustainability. Lucie Lapovsky. 2014 <https://www.tiaainstitute.org/public/pdf/higher-education-business-model.pdf>
33. What is quality? [What is quality? - European University Association](http://www.eua.be/.../PS%20%20-%20Jethro%20) .1st European Forum for Quality Assurance Munich 24th November 2006 Professor Jethro Newton. [eua.be/.../PS%20%20-%20Jethro%20](http://www.eua.be/.../PS%20%20-%20Jethro%20). Newton.
34. What Is Quality in Higher Education? Society for Research into Higher Education, Ltd., London (England). 132p.